საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვალა, ფულიოებით და ჯოხებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 17 სექტემბერი. 2016 წ. №174 (8066), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხუთოსანი ეკონომიკური თავისუფლება „ოცნების მონაპოვარია“

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) კვლევის 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 159 ქვეყანას შორის, ეკონომიკური თავისუფლების მხრივ, საქართველო პირველად არის მე-5 ადგილზე!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ამ კვლევაში საქართველოს ლიდერ პოზიციაზე ყოფნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„ამ შედარებით ინდექსში საქართველო მე-5 ადგილზე იმყოფება ისეთი ქვეყნების შემდეგ, როგორიცაა: ჰონგ კონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია! ესაა ძალიან დიდი წინსვლა. მინდა, შედარებისთვის ვთქვა, რომ 2015 წელს ჩვენ ვიყავით მე-12 პოზიციაზე, 2014 წელს - მე-16 ადგილზე, 2013 წელს - 21-ე ადგილზე, 2012 წელს კი 53-ე პოზიციაზე. ჩვენ გვაქვს დიდი პროგრესი, რომელიც განპირობებულია ისეთ სფეროებში წინსვლით, როგორიცა ფინანსების ხელმისაწვდომობა, საკანონმდებლო სისტემისა და საკუთრების უფლების დაცვა და სხვა მიმართულებები. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა საქართველოს საერთაშორისო იმიჯისთვის.

FRASER INSTITUTE

ირაკლი ჟორდანია - 85

მეცნიერ-ინჟინერიც გამორჩეული და ადამიანიც ჩინებული

85 **წელი** შეუსრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ინჟინერს, ცნობილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოში მეტალურგიის დარგის განვითარებისა და თანამედროვე საინჟინრო აზროვნების ჩამოყალიბების აქტიურ მონაწილეს, აკადემიის აკადემიკოს-მდივანს **ირაკლი ჟორდანიას.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს მას იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, კეთილდღეობას, მხნეობას, ახალ-ახალ წარმატებებს მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ნაცვალ ყველა

არამზადების გალერეა 4



ამბავი ხათოსი

ამომრჩეველი დღეს უფრო მომზადებულია, ვიდრე 2012 წელს... 5

ელისაშვილი - ისლამური სახელმწიფოს აგენტი 3

მარტვილის „მერანისა“ და „რუსთავის“ მატჩი გარიგებული აღმოჩნდა 10

ირაკლი ოქრუაშვილს ამომრჩეველის მოსყიდვაში ადანაშაულებენ 8

გულნარა სტურუა 6

როცა სინდისი ვერ გვაკონტროლებს!..

ყველამ წავიკითხოთ, ყველამ ვნახოთ!

გავერთიანდეთ მომავლის საქართველოსთვის - ჩვენ ყველანი ვჭირდებით მომავლის საქართველოს!

ყოველ პარასკევს გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“**, ყოველ ხუთშაბათს 17 საათზე და ყოველ ორშაბათს 20 საათზე ტელევიზია **„ქართული TV“**-ს ეთერით მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“ მეცნიერთა რუბრიკით: **„ქართული, მხოლოდ ქართული გზა“**

პოზიცია: „ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“

ორშაბათს, 19 სექტემბერს, 20 საათზე ტელევიზია „ქართული TV“-თ დისკუსია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 16 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალებზე.

მეცნიერები ყველას გასაგონად ვამბობთ:

- **ჩვენ გვჭირდება ძალა, ნება, დავსვათ სწორი დიაგნოზი და ხსნის გზაც აქ დაიწყება. ჩვენ ერთად უნდა გავაცნობიეროთ ქვეყნის პოტენციალი და ვეძებოთ ძლიერი ადამიანები... შევქმნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს (როგორც ეს დღეს არის), არამედ ეძებს მას და ჩვენი მხარდაჭერით კიდევ უფრო აძლიერებს.**

ჩვენ ასე შევქმნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს, ერთ მუშტად შეკრულ სიკეთეს, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი
„ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

ქვეყნის სივრცითი მოწყობა ეკონომიკური სიძლიერის საფუძველია

საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელები — ქვეყნის ხერხემალი, რომელიც ყველა რეგიონს გააძლიერებს და მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან; გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისთვის, ცხოვრებისა და გადაადგილებისთვის, — ამ ყველაფერს ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტი ითვალისწინებს.

მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ წარადგინა.

მთლიანობაში, 2020 წლის ჩათვლით დაგეგმილია 1000 კმ-მდე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რომლის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს, მათ შორის იგეგმება 550 კმ ავტომაგისტრალის მშენებლობა, ასევე, 800 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია.

იგეგმება 300-მდე სახიდე გადასასვლელის და 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა.

სივრცითი მოწყობა ასევე ითვალისწინებს რკინიგზის სადგურების, პორტებისა და აეროპორტების აშენებას და რეაბილიტაციას, არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ახლის შექმნას.

„საქართველოს აქვს რესურსი, გახდეს ეკონომიკურად მიმზიდველი და დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანა, რისთვისაც საჭიროა მისი არსებული მდგომარეობის რაციონალური და ერთიანი, როგორც ქვეყნის, გააზრება და სწორი სივრცითი დაგეგმვა და განვითარება; რეგიონებში მეტი ჟანგბადის, მეტი სისხლის მიწოდება და ერთნაირი შესაძლებლობების შექმნა, მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, შევქმნათ პირობები, რომ ხალხი დაუბრუნდეს მთას, სოფლებს და იქ შექმნას მატერიალური დოვლათი, რომელიც ადგილობრივ პირობებზე იქნება მორგებული და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებზე ორიენტირებული. ყველა რეგიონის მოსახლეობისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ისეთი სერვისები, როგორიც არის ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურა, ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის დასაქმებას მშობლიურ რეგიონებში, ტურისტებს უნდა შეეძლოთ შეფერხების გარეშე ჩასვლა ყველა რეგიონში და საქართველოს ყველა რაიონი უნდა გადავაქციოთ ოთხსეზონიან საკურორტო მიმართულებად“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული გზით — ინსტრუმენტით, რომელსაც ქვეყნის სივრცითი მოწყობა ჰქვია.

სივრცითი მოწყობის ფუნქციაა — უზრუნველყოს სივრცის რაციონალური, მდგრადი და დაბალანსებული დაგეგმვა. წაახალისოს ინტეგრაცია ისეთ სექტორებს შორის, როგორიცაა ბინათმშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა და მრეწველობა და, ასევე, მოახდინოს საქალაქო და სოფლის რეგიონების კავშირების გაუმჯობესება.

პრემიერის შეფასებით, სწორედ ამ ინსტრუმენტის საშუალებით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღება, ინვესტიციისა და განვითარებისთვის უფრო სტაბილური და გათვლადი პირობების შედგენა, რაც თავის მხრივ განვითარების გარანტიას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს უწყობს მიწისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას.

„საქართველოს მთავრობა უკვე მუშაობს ქვეყნის სივრცითი მოწყობის სქემის შექმნაზე. ამ რეფორმის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ახალი სატრანსპორტო არტერიები. საქართველოს აქვს სრული პოტენციალი, ჩამოყალიბდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად. ამ კონტექსტში უდიდესი როლი ენიჭება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მიხედვით განვითარებას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, არსებული საავტომობილო გზები, ავტობანების არსებული მონაკვეთები, საქართველოზე გამავალი ტრანზიტული კორიდორები თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი, აშენდება ახალი გზები, შეიკვრება ერთიანი ჩონჩხი, რომელიც ქვეყანას ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს, ყველა რეგიონს გახდის სიცოცხლისუნარიანს, ცხოვრებისთვის ვარგისს და ყველა რეგიონში თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი აუცილებელი პირველადი ინფრასტრუქტურა.

„თბილცემენტ გრუპი“ — ახალი საწარმო სამშენებლო სფეროში

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში უკვე 202 საწარმოა მხარდაჭერილი, რომელთა რიცხვს კიდევ ერთი, კომპანია შპს „თბილცემენტ გრუპი“ შეემატება.

კომპანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდასა და საწარმოს გაფართოებას შეძლებს. შპს „თბილცემენტ გრუპი“ ISO სერტიფიკატს ფლობს და ორიენტირებულია „ბეტონის პანელების“ წარმოებასა და მონტაჟზე, რომელიც გამოირჩევა ენერგოეფექტურობის მაღალი მაჩვენებლით და ასევე ადგილობრივი წარმოება და სწრაფი მოწოდება ამცირებს სამშენებლო რისკებს.

საწარმო, რომლის ოფიციალური გახსნა 2017 წლის სექტემბერში იგეგმება, საწყის ეტაპზე დაასაქმებს 61 ადამიანს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კომპანია „თბილცემენტ გრუპი“ , სამიზნე ბაზრად განიხილავს საქართველოს

ტერიტორიაზე მიმდინარე ნებისმიერ საშუალო თუ მსხვილი მშენებლობის პროექტს, თუმცა პირველ ეტაპზე აქცენტი გაკეთდება თბილისში მიმდინარე და დაგეგმილ მშენებლობებზე.

შპს „თბილცემენტ გრუპი“, რომელიც თბილისში მდებარეობს, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 2,128,213 ევროს შეადგენს.

პირველი კერძო მაღალტექნოლოგიური ცენტრი თბილისში

თბილისში პირველი კერძო მაღალტექნოლოგიური ცენტრი — „სილიკონ ველი თბილისი“ გაიხსნა, რომელიც IT აკადემიას, ბიზნეს და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს, სკოლას, ლაბორატორიულ და კვლევით ცენტრებს, ტექნოლოგიურ ინკუბატორებს ერთ სივრცეში გააერთიანებს. ცენტრის გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. საქართველოს მთავრობის მეთაურმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს და ხაზი გაუსვა „სილიკონ ველი თბილისის“ დაარსების მნიშვნელობას.

„მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ ვხსნით სრულიად ახალ, პირველ კერძო მაღალტექნოლოგიურ ცენტრს — „ სილიკონ ველი თბილისი“. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი და ძალიან მოხარული ვართ, რომ პირველი კერძო ინვესტიცია არის მაღალტექნოლოგიური მიმართულებით. სასიხარულოა, რომ მთავრობის ინიციატივები, რომლებიც დაწყებული იყო შარშან — პირველი ტექნოპარკის გახსნა, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური მიმართულების განვითარება, ასე აიტაცა კერძო სექტორმა. ჩვენ ძალიან გვახარებს კომპლექსური ხედვა, რომელიც ამ ჯგუფს აქვს და ის ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნება, რომელიც აქ არის. ეს არის სკოლა, მაღალტექნოლოგიური უნივერსიტეტი, IT საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულება, ლაბორატორიები, ტრენინგცენტრები და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ინოვაციური აზროვნების და სამეწარმეო სულისკვეთების განვითარებას ქვეყანაში,“ — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით,

მნიშვნელოვანია, რომ მაღალტექნოლოგიური ცენტრში დაინერგება დუალური სწავლების მოდელი, რაც გულისხმობს სწავლის პარალელურად, სტუდენტების სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას.

„ძალიან კარგია, რომ ამ ცენტრის ბაზაზე იმუშავებს დუალური განათლების პროფესიული განათლების მოდელი, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს სწავლას და მუშაობას და პირდაპირ მიმართულია დასაქმებისკენ და პირდაპირ ეხმიანება მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმას,“ — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტზეც ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, თბილისში მშენებარე სამეცნიერო კვლევით ცენტრთან ერთად, უდიდესი მასშტაბის იქნება.

„სილიკონ ველი თბილისში“ მომავალ ქართველ დეველოპერებს, პროგრამულ ინჟინრებს და მეწარმეებს შეეძლებათ საკუთარი ბიზნესიდეების სრულყოფილად განვითარება, ტექნოლოგიური უნარების გაღრმავება და შესაძლებლობების გაფართოება. პროექტის ფარგლებში ასევე განთავსდება წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიებისა და ბრენდების ოფისები, სტუდენტური კამპუსები, საზაფხულო სკოლა ბავშვებისთვის თავისი სპორტული მოედნებითა და საცურაო აუზებით. „სილიკონ ველი თბილისის“ პროექტი მოიცავს ყველა იმ ეტაპს, რომელიც საჭიროა იმისთვის, რათა საქართველომ თანდათანობით დაიმკვიდროს ადგილი, როგორც ტექნოლოგიების ექსპორტიორმა ქვეყანამ.

ორ წელიწადში ნახევარ მილიონზე მეტი ხე დაირგო

დედაქალაქის მერმა ორწლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე გამწვანების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და განაცხადა, **რომ 2014-16 წლების განმავლობაში დედაქალაქის მასშტაბით დარგულია 560 000-მდე ხე-მცენარე.** 75 მისამართზე განხორციელდა სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია. ამასთან, დავით ნარმანიას განცხადებით, სხვადასხვა ტერიტორიაზე განხორციელდა 10 გამწვანებული ობიექტის სრული რეაბილიტაცია, ასევე, დენდროლოგიური, ინფრასტრუქტურული და საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის სამუშაოები.

◎ სამი კითხვა მთავრობის მეთაურს

რამდენად თავსებადია თქვენი პოზიცია რეალობასთან, ბატონო პრემიერო?

ბატონო პრემიერო! 8 სექტემბერს თავიდან ბოლომდე ვუყურე თქვენს გამოსვლას საზოგადოების წინაშე და გარკვეულწილად კმაყოფილი დავრჩი ჩემი მთავრობის მეთაურისა. თუმცა აქვე გამიჩნდა კითხვები, რამდენად თავსებადია უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერის შეფასებები იმ რეალობასთან, რასთანაც სინამდვილეში გვაქვს საქმე. აი, რამდენიმე კითხვა:

1. „დაცული საკუთრების უფლება“ — არის თუ არა მოქალაქის მიერ ხელისუფლებისთვის სახელმწიფო ობლიგაციების სახით გაცემული სესხი **„დაცული საკუთრება“**, თუ სესხი, რომელიც აიღო ხელისუფლებამ სახელმწიფო გარანტიით არ არის **„დაცული საკუთრება?“**

აქვე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო პირადად ჩემთვის ერთ ძალზე მტკივნეულ საკითხზე. 2002 წელს ჩემს სამეზობლოდ ბინა შეიძინა ბათუმიდან ჩამოსულმა იურისტმა ზაზა რუხაძემ, რომელიც იმ პერიოდში იყო საია-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი „პრეზიდენტი“ (ასე იწოდებოდა მაშინ ახლანდელი საია-ს ხელმძღვანელი). პირველი, ვისაც ეს პიროვნება გაეცნო (გარკვეული მიზეზების გამო), ვიყავი მე.

ის შემოვიდა ჩემს სამზარეულოში, თითქმის ორი საათი ვისაუბრეთ ძალზე კეთილგანწყობილად და მან მთხოვა, დავხმარებოდი მეზობლებთან, რათა უფლება მიგვეცა, საკუთრებაში გაეფორმებინა საერთო სარგებლობის სხვენში ასასვლელი კიბის ფართი, რომლის ქვეშაც იმ მომენტში მეზობლების თანხმობით სამზარეულო და ტუალეტი ჰქონდა მოწყობილი ისრაელოვს, ვინც მას მიჰყიდა ეს ბინა.

პირობის თანახმად ამ კიბის სანაცვლოდ მას, ზაზას, უნდა გაეკეთებინა ბალკონშივე სხვენში ასასვლელი კიბე, მისი თხოვნა (ჩემი დახმარებით) შესრულდა, სამაგიერო კიბე მაშინ დათქმული პირობით არ გაკეთებულა. ამის პარალელურად მან ისეთი რაღაცებიც გააკეთა, რამაც მეზობლების უკმაყოფილება გამოიწვია და, ბუნებრივია, ისინი ჩემთან მოდიოდნენ რადენადაც მე ვიყავი რუხაძის ინტერესების რეალიზატორი. ბოლოს და ბოლოს, როცა რუხაძემ სასტიკად დაარღვია პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მე მას ვუთხარი, ბატონო ზაზა, თქვენ იმდენი ტყუილი თქვით, რომ მეტი თქვენი ნდობა აღარ შეიძლება და ამიტომ ჯერ შეასრულეთ დაპირებული და შემდეგ განაგრძეთ თქვენი ინტერესების დაცვა-მეთქი, ამ შემთხვევამ ისე გააბოროტა რუხაძე, რომ ის გადაიქცა ჩემს მოსისხლე მტრად, აქედან გამომდინარე ყველა ბინძური შედეგებით. ერთ-ერთი მისი ბოროტება ჩემს მიმართ გამოიხატა იმით, რომ ის შემოიჭრა ჩემს სამზარეულოში 4მ^2-ის უფლებით, აი, აქ გამოიყენა მან თავისი საია-ს პრეზიდენტობა და, შესაბამისად, მოსამართლე ნინო შარაძის მარიონეტული მოქმედებით მიიღო საჭირო სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც დღესაც დაუმტკიცებელი მაქვს ჩემი სამზარეულო, ტუალეტი, აბაზანა იმ ფონზე, რომ სახლში ჩემს გარდა ყველას ყველაფერი აქვს, მე კი დავრჩი აბსოლუტურად უქონელი, ამ საკითხს ახლავს ბევრი ტვინის ამხდელი ქმედება რუხაძისა.

მან სასტიკად გააყალბა დოკუმენტები, მათ შორის ნასყიდობის ორდერი, რის შედეგადაც მიიღო თავისთვის სასურველი დანაშაულებრივი გადაწყვეტილება. ეს არ არის მოსამართლის გადაცდომა, ეს შარაძის დანაშაულებრივი ქმედებაა. ეს არ არის ერთადერთი სიყალბე, მე ხელთა მაქვს ყველა გაყალბებული დოკუმენტი, მაგრამ ვინ უყურებს ამას!

დღეს კი ეს პიროვნება წარდგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობაზე და შეიძლება სულაც თავმჯდომარეობაზე.

სწორედ აქ დგას საკითხი — თქვენს ინტერპრეტაციასა და რეალობას შორის არის თუ არა თავსებადობა.

2. „ადამიანის თავისუფლებათა დაცვის პროგრამა“ — არის თუ არა ასევე საკუთრების დაცვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ყოველგვარი **„თავისუფლება“?**

3. „საკუთრების უფლების დაცვა“ — პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის იმ რეალობასთან, რაც დღეს სუფევს საქართველოში, რეალობა კი ასეთია: 1992 წელს მე, ქართლოს ზაქარეიშვილმა, შევიძინე ამ ხელისუფლების მიერ გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციები, ე.ი. ვასესხე ხელისუფლებას გარკვეული თანხა. სახელშეკრულებო პირობებით ეს ობლიგაციები 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ 2002 წელს უნდა განაღდებულიყო თავისი ნომინალური ღირებულებით, 2003 წელს სააკაშვილმა ეს თანხები გაანაღდა მხოლოდ საკუთარ ფავორიტებზე. პირობა კი იყო, რომ პირველი რიგის ბენეფიციარები იყვნენ მოხუცები, პენსიონერები, I ჯგ. ინვალიდები, დამსახურებული და შეჭირვებული ფენა საზოგადოებისა.

მან ეს პირობა სასტიკად დაარღვია და არც ერთი პირობით ჩამონათვალი ბენეფიციარი არ დაკმაყოფილდა.

2004 წელს, იმ იმედით, რომ სულ ხელისუფლებაში იქნებოდა, გამოსცა ბლეფი ბრძანებულება №108, რომლითაც შექმნა ბლეფი სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა დარჩენილი თანხების გაცემის ფორმებს და ვადა მიეცა 2005 წლის მაისამდე. ბუნებრივია, სააკაშვილის შესრულებით ეს ვადა არ იქნა დაცული და მას შემდეგ ამ კომისიას უფლებამოსილება ყოველ წელიწადს უვადდება ისე, რომ ერთი ოქმიც არ არსებობს მისი მუშაობის დამადასტურებელი.

მაგრამ განვიხილოთ ეს საკითხი იმ კუთხით, რომ ეს კომისია რეალურია და მუშაობს, ამ შემთხვევაში როცა საკითხი, რომელზეც მუშაობს მოცემული სახელმწიფო კომისია, არის სოციალური და ეხება ქვეყნის საზოგადოების ყველაზე შეჭირვებულ ფენას, ეს უკვე თავისთავად დანაშაულებრივია ხელისუფლების შესრულებით, და კვალიფიცირდება როგორც „სახელმწიფო დანაშაული“, რომელსაც შემსრულებელი ჰყავს რეალური ადამიანები, დამნაშავეები უმაღლესი ჩინოვნიკების სახით. ამ საკითხზე კონსტიტუციის 42-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოქმედმა ხელისუფლებამ, რაღა თქმა უნდა, სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით.

აი, აქ მაქვს პრეტენზია იმაზე, რომ თქვენი აპრიორი პოზიცია საკუთრების დაცვის საკითხში ვერ არის თავსებადი რეალობასთან, თანაც იმ ფონზე, რომ თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ: **სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ხალხს უყვარდეს და პატივს სცემდეს თავის ხელისუფლებას, ისე ხელისუფლება ვერ შეძლებს საშუალო და გრძელვადიანი პროექტების განხორციელებას.**

ეს თქვენი სიტყვებია, ბატონო პრემიერო!

ქართლოს ზაქარეიშვილი

◎ რასაც ჩვენ გარშემო ლაპარაკობენ

გათინათინება, ანუ გახიდაშელება-გაბოკუჩავება

ერთი დიდად განსწავლული ქართველი გულწრფელად წუხდა, საქართველოს ისტორიაში უსაფრთხოების თვალსაზრისით, ალბათ, არ ყოფილა იმაზე უფრო მძიმე დედლური პერიოდი, ვიდრე ის წელიწად-ნახევარი, როცა საქართველოს თავდაცვის მინისტრად მოულოდნელად მოევლინა რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი, რომელსაც სილამაზის კონკურსში გამარჯვების შანსი უფრო ჰქონდა (ისიც ამ 30 წლის წინათ), ვიდრე იმ მტრის მოგერიების შანსი, რომელიც შეიძლება რომ თავს დასხმოდა ნატოს იმედზე მყოფ საქართველოსო.

სხვათა შორის, მარშალ თინიკოზე ამ აზრისა იყო თითქმის მთელი ჩვენი ჭკუათმყოფელი საზოგადოება. და როგორც მარშლის მუნდირი გაიხადა, რესპუბლიკელი თინა ეგრევე ნაციონალი თინა გახდა, ოღონდ ამჯერად ბოკუჩავა... „ცრუსთავი-2“-ის ცისფერი ეკრანი გათინათინდა. მეტამორფოზაც ასეთი უნდა! ხიდაშელი ბოკუჩავა გახდა, ბოკუჩავა ხიდაშელი. გინდა ერთს ულაპარაკია, გინდა მეორეს, ისე, ვითომ კიდევ საჭიროა ორი თინა?

მასმედიის განვითარების თუ არგანვითარების?!

— ფონდზეა ლაპარაკი, ბატონო. კინწურაშვილი თამარი ხომ იცით? ერთ დროს (ნაციონალების ზეობის ხანს!) პირველი არხის გენერალური დირექტორიც იყო... ახლა, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მასმედიის განვითარების ფონდის თავმჯდომარეა. სახელი და სახრავი ერთდროულად, რა ცუდია?!

იქნებ ამ პატარა რეპლიკის შემდეგ გამოგვეხმაუროს და გვითხრას კინწურაშვილის ქალმა, ვის, როდის დაეხმარა განვითარების მიზნით. ჩვენ დღემდე მასმედიის არგანვითარების ფონდის თავმჯდომარედ ვიცნობთ. და კიდევ გავირთამამებული გვარამიას „ცრუსთავი-2“-ის თავგადაკლულ ნაციონალ მხარდამჭერად!

მოდით, ვნახოთ ვენახი, ოდესელის ვენახი...

ასხია, მაგრამ, რა ასხია. ჩანს, დაყადაღება მოუხდა. დაყადაღებული ყურძნის ღვინო კი, როგორც ამბობენ, დადაღული გამოდის. თუმცა მეღვინეს გააჩნია. როგორც ეს ძებნილი მეღვინე ოდესიდან იტყობინება, შემოდგომაზე აუცილებლად აპირებს ყვარელში ჩამოსვლას და წლევანდელი მოსავლის ღვინით 2016 წლის არჩევნებში გამარჯვების აღნიშვნას.

ერთგულ ხალხს საკლავიც მზად ჰყოლია (ამბობენ, ზოგიერთი თავგადადებული მხარდამჭერის მსხვერპლშეწირვაც მოხდებაო). რაც შეეხება დედას პურებსა და ხაჭაპურებს, ამ საქმეს თვითონ დიასახლისი მიხედავს, სიით მეორე ნომერი „ჩქიმი“ სანდრა, რომელიც ჯერ არჩევნებში გამარჯვების საქმეს აჰოლანდიურებს.

ვინ იცის, იქნებ სულაც კიდევ ერთი ქორწილიც გადაიხადონ თვალხმიერი ბოკერიას ტოლუმბაშობით, ამჯერად უკვე ოდესურ ყაიდაზე, ნატოსა და ევროკავშირის წევრების მაყრიონით.

ელისაშვილი — ისლამური სახელმწიფოს აგენტი

— ტყუილად, გენაცვალე, არავინ არავის არა ჰკლავს. ელისაშვილი ალეკოს ახალი თავბრუდამხვევი განცხადება, ხელისუფლება ჩემს ლიკვიდაციას აპირებსო, ჰაერზე არა თქმულა.

როგორც ჩვენც გვირეკავენ (სხვებსაც ურეკავენ თურმე!) ეს ჩვენი დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი არც მეტი, არც ნაკლები, ისლამური სახელმწიფოს აგენტი ყოფილა და ამ დღეებში თვითონ ჩვენი პრეზიდენტის სასახლის აფეთქება ჰქონია დავალებული (არჩევნების წინ დიდი არეულობის გამოსაწვევად!).

გუშინ, მაგალითად, ერთმა ძალიან ცნობილმა პიროვნებამაც დაგვირეკა. მაგრამ ამჯერად არ დავასახელებთ იმის გვარს. თვითონ პატივცემული აგენტი ალეკოც ხომ არასოდეს არ ასახელებს იმათ გვარებს, ვინც ამა თუ იმ ამბის გამო აფრთხილებს ხოლმე.

ჩვენც ამ გამოცდილი აგენტის ხერხს ვიყენებთ. მაგათ უფრო იციან, რა როგორ სჯობს!

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

ზუგდიდში სოფლის რწმუნებულს სცემეს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩაშონას რწმუნებული ბეჟან ჭურღულია სცემეს. შემთხვევა სოფელ ახალსოფლის ცენტრში მოხდა. ბეჟან ჭურღულია ახალსოფლისა და ოფაჩხუას რწმუნებულთან ერთად გამგეობის შენობაში იმყოფებოდა.

ბეჟან ჭურღულია ორმა პირმა გამოიყვანა შენობიდან, რასაც მოყვა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. ახალსოფლის გამგეობის წარმომადგენლის ლადო ქვარცხავას ინფორმაციით, პირები, რომლებმაც უჩაშონას რწმუნებული სცემეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, გიგა მაქაცარია და ნიკა ჭურღულია არიან.

ბეჟან ჭურღულია დაკითხვაზე ზუგდიდის სამმართველოში იმყოფებოდა.

ეროვნული ანჯარა

ამგავი ხათოსი

ამბობენ, თანამდებობამ შეჩვევა იცისო. ამიტომაც არ ეთმობათ მისით მოხიბლულ-დამტკბარ ადამიანებსო; მით უფრო, თუკი სკამს გვარიანი შემოსავალიც მოაქვსო. რიგით მომკვდავთ მართლა გვჯეროდა, რომ პარლამენტის დეპუტატი, მაღალი ხელფასის, სხვა დანამატ-შეღავათებისა და „წვრილმანი“ სარგებელ-უპირატესობების გარდა, სხვას აღარაფერს დახარბდებოდა. წესრიგსა და პატიოსან კანონმდებელს ხომ უამრავი თავსატეხისა თუ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა გადაედო თავი. სინამდვილეში „კანონმდებელთა“ გარკვეული ნაწილი, საოცნებო მანდატის მიღებისთანავე დაფაცურდა და გამალებულმა დაიწყო პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა, საჭირო საქმეების გაშანსვასა და მოგვარებას შეუდგა.

ამისი თვალნათელი დასტური და ნიმუში გამოდგა ვარდსურნელოვანი რევოლუციის „მაღალხარისხიანი ნაწარმი“; რუსეთ-ამერიკის ერთობლივად დაგეგმილი, ნაციონალების მრავალწლიანი არსებობისთვის გათვლილ-გაანგარიშებული პარლამენტის მარადიულ-შეუცვლელ დეპუტატად დანიშნული მძიმეწონიანი **ხათუნა გოგორიშვილი**.

აკი, ასეც იქცევა, ოც წელზე მეტი ხნით პარლამენტში დიდი ფულის საშოვნელად დაგეშილ-შესრიალებული ხათუნა გოგორიშვილი. ეს მძიმეწონიანი დიაცი ზურაბ ჟვანიას მეგობარი ყოფილა და სწორედ მისი მეოხებით აღმოჩნდა პარლამენტში.

თავდაპირველად, „ზავხოზობა“ ჩააბარეს თურმე და, უნდა ითქვას, არ შემცდარან. დიდი ფულის შოვნაზე დაგეშილს, ისეთი შანსები დაუტრიალებია, რომ მოგვიანებით გავრცელებული ხმებით, შესაშური ხელმრუდობით აუორთქლებია... ოთხი მილიონი(!). წარმატებამოპოვებულს, ერთგვარად, სახელისა და ღირსების შელახვად მიუჩნევია საკუთარი თანამდებობის სახელწოდება და პატივისცემისა და გაბღენძვა-განდიდების მიმნიჭებელი პრესტიჟული – „აპარატის უფროსობით“ შეუცვლია.

ცხადია, პირველი წარმატებული ნაშოვნის დიდ ნაწილს, გაქნილი ხათო „ნაჩალნიკებს“ მიურბენინებდა და მათგან შექებულ-წაქეზებული, ნამოქმედარის შემდგომში უფრო დახვეწილად შესასრულებლად ამოქმედდებოდა.

ქვეყნის ბიუჯეტიდან ფულის მოპარვასთან ერთად, მეორე არანაკლებ ჭუჭყიანი და დანაშაულებრივი საქმის კეთების ნიჭი და უნარი აღმოაჩნდა. „რევოლუციონერი“ ნაციონალების ყველა „საარჩევნო გამარჯვების“ დიდი წილი ხომ მის კისერზეა. ყველანაირი სიყალბე-უკანონობის მკეთებელი, თავისნაირ ხაზინის მძარცველ, ქურდბაცაცა და ენამწარე მიხეილ მაჭავარიანთან; სვანეთში, ადამიანის მსხვერპლით დასრულებული შემზარავი ოპერაციის შემსრულებელ გიორგი ბარამიძესთან და მათნაირ ქვეყნის გამყიდველ არსებებთან ერთად, „გამარჯვებისთვის“ საჭირო იმდენ საარჩევნო პროცენტს „აცხობდნენ“, რამდენსაც ბელადი უბრძანებდათ.

სანაცვლოდ, ავისმქმნელთა დანაშაულებრივი ქმედება, უმაღლესი ჰონორარებითა და პრემია-საჩუქრებით ნაზღაურდებოდა. ამასთან, უამრავი სიყალბის ჩამდენი ეს პროფესიონალები, დღემდე საიმედოდ უზრუნველყოფილები ბრძანდებიან საპარლამენტო მუდმივი და ხელუხლებელი შტატით.

ასეა, ყალბისმქმნელმა და დამნაშავე ხათუნა გოგორიშვილმა დიდხანს და გაბედულად, ღონივრად ურია ხელი გაუბედურებული ქართველებისგან წართმეული ფულით შეკოწიწებულ ხაზინას. არამი ფულის კეთებაში გაწაფული ნაცქალუნა ხათო არავის ინდობდა და ყველანაირი ხერხითა თუ მეთოდით, უმოწყალოდ ძარცვავდა ხელში ჩავარდნილ ნაცნობსა თუ უცნობს.

ლალი ანთია: არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ თავმჯდომარე: „სულხან მოლაშვილისთვის უნდა გეკითხათ, რეები აქვს გაკეთებული, რა მაქინაციები აქვს ჩადენილი და ჩატარებული ხათუნა გოგორიშვილს.

სულხან მოლაშვილი მაშინ კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო და მას ჰქონდა გოგორიშვილის მექრთამეობისა და თაღლითობის დამადასტურებელი ყველა საბუთი. გოგორიშვილი პარლამენტის აპარატის უფროსი რომ იყო, რამდენი მილიონი მიითვისა! კომიტეტების თავმჯდომარეებს ძველი მანქანები გამოუყო, ახალჩამოყვანილები კი გაყიდა და ფული ჯიბეში ჩაიდო. იგივე გაკეთა ავეჯთან დაკავშირებითაც – ახალი ავეჯის ნახევარი გაყიდა და ნახევარი სახლში წაიღო. პარლამენტის რემონტის ფულიც მიითვისა. ხუთი მილიონი გაწერა ხარჯში და რეალურად ამის ნახევარი დაიხარჯა. მათხოვარივით მოვიდა გოგორიშვილი პარლამენტში და მილიონები იშოვნა. ერთ სკამს და მაგიდას ისე არ მოგცემდა, ოქროს სამკაული რომ არ მიგეტანა ქრთამად. პარლამენტში, აფხაზეთის კომისიაში რომ ვმუშაობდი ვახტანგ ყოლბაიასთან, მე და თემურ ჭახრაკიას ოთახი არ გვქონდა. ძლივს შევაღწიე გოგორიშვილის კაბინეტში. ოთახი რომ მოეცა, „კამელიას“ ოქროს ბეჭედი და საყურეები მივართვი. აი, ასეთი მექრთამე, თაღლითი და ბანდიტია გოგორიშვილი“ **(„ასავალ-დასავალი“, 2014 წ. №1)**.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს ააფცქვნა ფული და ოქრო ჩარჩ-ვაჭრუკანა ხათომ. სააკაშვილ-ჟვანიასგან საიმედოდ „დაკრიშული“, თავში ავარდნილ-გამედიდურებული გოგორიშვილი, რომ იტყვიან, მიწაზე ფეხს არ აკარებდა და ცაში დაფრინავდა. მას, ყველგან და ყველაფერზე მოუწვდებოდა ხელი და სათანადო საფასურჩაჯიბულს, ნებისმიერი თითქოსდა შეუძლებელი საქმის გაჩარხვა შეეძლო.

ხათუნა გოგორიშვილი: „რომ არ ჩამებარებინა ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ვერ შევხვდებოდი ზურაბ ჟვანიას და სულ სხვა მიმართულებით წავიდოდა ჩემი ცხოვრება. მხოლოდ ერთი დღის ამოშლა მინდა ჩემი ცხოვრებიდან: ეს არის 2005 წლის 3 თებერვალი, როცა ზურა გარდაიცვალა“ **(ჟურნალი „რეიტინგი“, 2011 წ.)**.

ჩვენი კომენტარი: თავისი ამ ნათქვამით, ხათუნა გოგორიშვილი მთლიანად დარწმუნებული ყოფილა პრემიერყოფილი მეგობრის ბუნებრივ გარდაცვალებაში. მაშინ, როცა იმ ავბედითი დღიდან მოყოლებული, საინფორმაციო საშუალებებმა უამრავჯერ გაახმოვანეს და დაწერეს კომპეტენტური სპეციალისტების, ოჯახის წევრების ოფიციალური გამონათქვამები ჟვანიას მოკვლის შესახებ.

მარინე შენგელია, ზურაბ ჟვანიას მეგობარი: „2007 წლის გამოსვლები რომ იყო, ხათუნა გოგორიშვილმა რემა დეიდას გვერდით ბინა იყიდა. მასთან ვიყავი და ვკითხე: ხათუნა, ჩემი აზრით, ზურა მოკლეს და შენ რას ფიქრობ-მეთქი ? მიპასუხა, მოკლეს, აბა, რაო“. **(„ქართული სიტყვა“, 2015 წ. №48)**.

გასაკვირია, როგორ წამოსცდა სიმართლე მიშიკას უერთგულეს პირისფარეშსა და „ჯილას“, იმ სისხლიანი დღეების დროს მორიგი საცხოვრისის შეძენით დაკავებულს, ალბათ, შემთხვევით თუ წამოსცდა სიმართლე და უნებური თანამონაწილე გახდა ზურაბ ჟვანიას უეჭველ მკვლელობაში დარწმუნებული მეგობრების ნათქვამისა.

ამის გამო ალბათ, გვარიანად „დაურხია“, დანაშაულში მხილებულმა ბოსმა. და, თუ არა სამომავლო არჩევნების გასაყალბებლად მოხმარება, დაუნანებლად „გაასაღებინებდა“.

...ცნობილია, რომ ყაჩაღობითა და ძარცვა-გლეჯით ნაშოვნ დიდ ფულს, წარმოუდგენელი სურვილ-ჩანაფიქრების აღსრულება ძალუძს. ამის გამკეთებელი ადამიანები, მართლაც ნებისმიერ განზრახვასა და ოცნებას იკმაყოფილებენ.

სოსო შატბერაშვილი: ლეიბორისტული პარტიის წევრი: ხათუნა გოგორიშვილს სახლი აქვს პარიზში“ **(„ჯორჯიან თაიმსი“, 2010 წ.)**.

სხვათა შორის, ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა და გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ასეთნაირად ნაშოვნი ფულით იყიდა ხათომ პარიზში სახლი.

უაღრესად გათავხედებულ-გადიდგულებულმა ნაცქალუნა ხათომ რაც კი მოისურვა და გაიფიქრა, ყველაფერი შეისრულა და დაიკმაყოფილა, თანაც ქვეყნის მწირი ბიუჯეტის ხარჯზე. სითავხედისა და უტიფრობის ყველა ზღვარს გადალაჯებულმა, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან ერთად გაეროშიც კი გაისეირნა საქართველოს საქმეების „მოსაგვარებლად“. შტატებში მაშინ მოუწია განავარდება, როცა მისმა მეგობარმა და მისნაირმა ყალბისმქმნელმა და ქვეყნის გამძარცველ-გამჩანაგებელმა, ქურდბაცაცა ზურაბ ნოღაიდელმა ბიუჯეტიდან მოპარული ფულით, გულის ძვირად ღირებული ოპერაცია გაიკეთა. მაშინ, ხათოს ქურდი პრემიერის გამხნევება-გართობის „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობის მისია დაეკისრა და უნდა ითქვას, წარმატებითაც. ყველაფერი „იღონა“ და ქვეყნის „თავკაცი“, საღსალამათი და გამოჯანმრთელებულ-გაკაჟებული დაგვიბრუნა.

რამდენიმე წლის წინათ, ნაციონალების შიზოფრენიკმა ატამანმა, მძიმე ავადმყოფობის მორიგი შეტევის დროს წარმოქმნილი ერთობ „ორიგინალური სიახლე“ შვა და მისი უსიკვდილოდ აღსრულება განიზრახა. „სასწაული სიახლით“ შეძრულმა მისი ჯოგის რამდენიმე არსებამ, უმალ თანხმობა თქვა შეთავაზებულის შესრულებაზე. სიაში პირველი თაღლითობასა და თვალთმაქცობაში აღიარებული ხათუნა გოგორიშვილი ჩაეწერა. ცნობილ დირიჟორებთან მეცადინეობის მერე, სააკაშვილის საკუთარმა „რუსთავი-2“-მა აჩვენა, დირიჟორობაში „გაწაფული“ ხათოსა და მისი ძმაკაც-დაქალების „ნიჭიერების“ დამადასტურებელი კონცერტი, თვით ორკესტრს რომ „უწინამძღვრეს“ „ვირტუოზობითა და პროფესიონალიზმით“.

რევაზ ჩხარტიშვილი, მწერალი: „სქელგავა ხათუნა გოგორიშვილმა, შუშის ხიდის აღება-არაღების საკითხით რომ არის შეშფოთებული, ცხრა წლის მანძილზე რატომ ერთხელ მაინც არ ჰკითხა თავის პრეზიდენტს, ამდენ საბიუჯეტო სახსრებს ასე უთავბოლოდ რომ ფანტავ უსარგებლო მშენებლობებში, საბურთალოს ხაზზე მეტრომშენებლობას როდის დაადგება საშველიო? ჰკითხოს, რატომ ამჯობინა რუსლანასა და შაკირას უკანალების ყურებაში დაეხარჯა მეტრომშენებლობისთვის განკუთვნილი თანხები. არა და, კაცმა რომ თქვას, შენ უფრო სქელი გავა გაქვს, ვიდრე მათ ერთად აღებულს“. **(„ილორი“, 2013 წ. №206)**.

ამგვარი სიმახინჯისა და უსახურობის პატრონს, მით უფრო „ბრიუჩნიში“ ჩაჭექილ-ჩატენილს, ოდნავადაც არ აწუხებს, საზოგადოების წინაშე ასე საქვეყნოდ გამოჭენება. ხათო, ბელადივით, მხოლოდ არამი ფულის შოვნით არის დაკავებული. და, სულაც არ არის გასაკვირი, მისი გავის ყურებით დამტკბარ ბელადს კარგა გვარიანი გადასახადი შეაწეროს.

ფულს კი, ნაცქალუნა ხათო, დღესაც ბლომად ბოჭავს.

გაზეთი „ვერსია“, 2016 წელი, №68: „2016 წლის იანვარ-მარტში, ნაციონალურმა მოძრაობამ ხელფასებზე 342 125 ლარი დახარჯა – პარტიაში ხელფასი 322 ადამიანმა მიიღო. მათ შორის, გიგი უგულავამ – 3750 ლარი და ივანე მერაბიშვილმა – 3875 ლარი!..

ხათუნა გოგორიშვილი: „ვანო მერაბიშვილი იყო და ახლაც ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანია, გიგი უგულავა კი თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ეს ადამიანები დღესაც პარტიულ თანამდებობებზე არიან და ხელფასს ახლაც ისევე იღებენ, როგორც დაჭერამდე. ისინი აგრძელებენ პარტიულ აქტივობას. არავის საქმე არაა, ნაციონალური მოძრაობის პარტიულ სტრუქტურაში ვინ რა თანამდებობაზეა და ხელფასი ვის რამდენი აქვს“.

ამის გამოა, ასე გაკაპასებული რომ დაგვძახის მძიმეწონიანი ნაცქალუნა: ნაცები რასაც გვინდა იმას ვიზამთ და ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებთო!

ჩვენდა სამარცხვინოდ, ხათოს ადრინდელივით ყველაფერზე მიუწვდება ხელი და ყველაფერი შეუძლია; დაუბრკოლებლად იგვარებს და იწესრიგებს ყველაფერ პირადულს. ხელისშემშლელ-წინააღმდეგი არავინ ჩანს.

აწგარდაცვლილ ზურაბ ჟვანიასგან ფეხზე მყარად დამდგარსა და წელში გამართულს დიდად გალაღებულ-გაფოფინებულს რატომღაც სჯერა და ჰგონია, რომ ყველაფერმა ჩაიარა და სამშვიდობოს გააღწია.

უამრავი დანაშაულისა და ბინძური სიყალბის ჩამდენი, დიდად გულდაჯერებული გახლავთ, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ისევ ნაციონალები გახდებიან პირველები, ამჯერად „კარატისტი და კუნფუისტი“ სანდრა რულოვსის თავკაცობით. და საპენსიო ასაკს გადამხტარი ხათო ისევ წამოჯდება პარლამენტარის საანუკვარ სკამზე.

ნურას უკაცრავად!

საქართველოს დაქცევა-გაქროების მეოცნებე ნაციონალური ხროვის „ვერხუშკის“ წევრებთან ერთად, ხათო გოგორიშვილს მალე მოუწევს მართალი სასამართლოს წინაშე წარდგომა და უამრავ შეკითხვაზე პასუხის გაცემა; ჩადენილ დანაშაულთა აღიარება და მძიმე განაჩენის მოსმენა!..

გელა ჯიღაური,
სექტემბერი, 2016 წელი.

ამომრჩეველი დღეს უფრო მომზადებულია, ვიდრე 2012 წელს...

ДИДИ და საფუძვლიანი იმედი არსებობს იმისა, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩავატარებთ ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ტყუილი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ იმედის გაცრუების შანსი ნულის ტოლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საარჩევნო გარემო ახლა ისე თავისუფალია, როგორც არასდროს. ოპოზიციას მეტ-ნაკლებად რეალისტური შანსი აქვს არჩევნებში გამარჯვებისა; არჩევნებს რევოლუციური სენტიმენტები არ უძღვის წინ, რაც იმის მომასწავებელია, რომ 2012 წლისგან განსხვავებით, ამჯერად ამომრჩეველი უფრო მომზადებული იქნება არაემოციური არჩევანის გასაკეთებლად.

თუ ეს მოლოდინები გამართლდა და დემოკრატიული განვითარება არ შეფერხდა, ჩვენი პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური დისკურსი ფუნდამენტურად გარდაიქმნება. სწორედ ამ შესაძლო გარდაქმნის თავისებურებაზე და დადებით და უარყოფით მხარეებზე მინდა გესაუბროთ. სასურველია, ვიცოდეთ ის, თუ საით მივდივართ და რას მოგვიტანს ეს გზა.

პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, თუ რა იყო აქამდე საქართველოში ძალაუფლების ლეგიტიმაციის მთავარი წყარო. ჩვენს შემთხვევაში ეს იყო არა საზოგადოებრივი შეთანხმება, არამედ უფრო მეტად — ხისტი ძალა. საქართველოში — ისე, როგორც ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებში — ხელისუფლებას ლეგიტიმურობას განსაზღვრავდა არა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, არამედ უფრო მეტად ამ ხელისუფლების უნარი, გამოეყენებინა ძალადობრივი მეთოდები თავისი მიზნების მისაღწევად.

ჩვენი რეგიონის ბევრ ქვეყანაში ხელისუფლების ლეგიტიმაციას სწორედ ამგვარი ძალადობრივი ბერკეტების ფლობა და გამოყენება განსაზღვრავს. რეგიონის ამ ქვეყნების მმართველები, ამასთანავე, გაცილებით უფრო ერთპიროვნულად მართავენ თავიანთ ქვეყნებს, ვიდრე მმართველი ძალები მართავდნენ და მართავენ საქართველოში. პუტინის რუსეთი, ალიევის აზერბაიჯანი და ლუკაშენკოს ბელორუსია ამგვარ ხისტ ძალაზე დაფუძნებული მმართველობის კარგი მაგალითებია. ამ სიას ასევე შეგვიძლია დავამატოთ ერდოღანის თურქეთიც.

საქართველოში ხშირად გაიგონებთ რიგითი მოქალაქეებისგან ფრაზას „ამათ სტალინი უნდათ“ (უმრავლეს შემთხვევაში, გაუაზრებლად, ემოციურ ფონზე წამოსროლილს), ძირითადად, წარმოთქმულს მოურჯულებელი ბიუროკრატების ან თავგასული ძალოვანების მისამართით. „სტალინი“, რასაკვირველია, აღნიშნავს დაუნდობელ, სისხლისმსმელ მმართველს, რომელიც ყველაზე სასტიკი მეთოდებით ამყარებს წესრიგს. ასეთ დროს, წამიერად ლეგიტიმური წესრიგის დამყარების სხვა, უფრო ცივილური გზები მეორე პლანზე გადადის.

ასეთ ქვეყნებში ხელისუფლება გარკვეული ამოცანების შესრულებას მაინც ახერხებს, მაგრამ უპირველესად — საყოველთაო დაშინებისა და რეპრესიების ხარჯზე. მმართველს ემორჩილებიან არა იმიტომ, რომ მას ლეგიტიმაცია თავისუფალმა სამოქალაქო საზოგადოებამ მისცა (ასეთი საზოგადოებები ამ ქვეყნებში ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან სახელმწიფო თითქმის მთლიანად აკონტროლებს მოქალაქეთა მიერ შექმნილ ნებაყოფლობით ორგანიზაციებს), არამედ იმიტომ, რომ მისი ეშინიათ და მისი ძალადობრივი მეთოდებით შექმნილ ავტორიტეტს უპირობოდ აღიარებენ.

ასეთი საზოგადოებები ზოგიერთ დარგებში მაინც ფუნქციონირებენ მეტ-ნაკლებად ეფექტურად (ყოველ შემთხვევაში იქამდე მაინც, სანამ ლიდერი ცოცხალია), მაგრამ მათი საფუძველი მყიფეა და განვითარების პოტენციალი — შეზღუდული. ამ თეზისის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიტანოთ საბჭოთა კავშირის მაგალითი, რომლის მმართველი ელიტაც, სწორედ ძალადობრივი მეთოდებით, ხშირად მართლაც აღწევდა შთამბეჭდავ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს (აგრარული იმპერიის ინდუსტრიალიზაციით დაწყებული, ძირითადი სოციალური სერვისებისა და ურბანული ცხოვრების სტანდარტების განვითარებით დამთავრებული), მაგრამ ასეთ მიღწევებს ზურგს არასდროს უმაგრებდა ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი. თუ გაინტერესებთ, რატომ მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას მასში შემავალი რესპუბლიკების უმეტესობაში სოციალური და ეკონომიკური კატაკლიზმები, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ძალაუფლების ლეგიტიმაციის სახალხო წყაროების არარსებობაში უნდა ვეძებოთ.

დღეს ჩვენ, ფაქტობრივად, ვიგონებთ ახალ, დემოკრატიულ წესრიგს და ვცდილობთ, შევქმნათ მისი ინსტიტუციური საფუძვლები. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, გვაქვს პრეტენზია იმისა, რომ, ევროპული დემოკრატიების მსგავსად, საქართველოშიც ძალაუფლება დამყარებული უნდა იყოს არა ხისტ ძალაზე, არამედ, უპირველესად, ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსზე. ეს კონსენსუსი შეიძლება მემარცხენე იყოს, მემარჯვენე ან ცენტრისტული, მაგრამ ძირითადი მოთხოვნა ევროპული დემოკრატიისა ის არის, რომ ამგვარი შეთანხმება — სოციალური კონტრაქტი — უნდა არსებობდეს.

დემოკრატიის გზა მარტივი არ არის. დესპოტი ლიდერის ბრძანებების შესრულება უფრო ადვილია, ვიდრე დემოკრატიული განსჯის, დელიბერალიზაციის გზით გადაწყვეტილებების მიღება და შემდეგ ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. ბრძანებების ერთპიროვნული შესრულება არ მოითხოვს ისეთი დამღლელი ოპერაციების განხორციელებას, როგორიცაა გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების კრიტიკული ანალიზი, განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან დისკუსია, პოლიტიკური იდეის გარშემო თანამოაზრეების გაერთიანება და ზოგჯერ მტკივნეულ პოლიტიკურ დათმობებზე წასვლა. ამის საპირისპიროდ, ერთპიროვნული ლიდერის ბრძანებას, როგორც წესი, ქვეშევრდომები თვალდახუჭული ასრულებენ, ზედმეტი კითხვებისა და შენიშვნების გარეშე.

იმის გამო, რომ დემოკრატიის შენება ამგვარი სირთულეების გადალახვას გულისხმობს, ხშირად მოქალაქეთა ნაწილიც კი განვითარების უფრო მარტივ გზას ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად, საქართველოში ხშირად გაიგონებთ რიგითი მოქალაქეებისგან ფრაზას „ამათ სტალინი უნდათ“ (უმრავლეს შემთხვევაში, გაუაზრებლად, ემოციურ ფონზე წამოსროლილს), ძირითადად, წარმოთქმულს მოურჯულებელი ბიუროკრატების ან თავგასული ძალოვანების მისამართით. „სტალინი“, რასაკვირველია, აღნიშნავს დაუნდობელ, სისხლისმსმელ მმართველს, რომელიც ყველაზე სასტიკი მეთოდებით ამყარებს წესრიგს. ასეთ დროს, წამიერად ლეგიტიმური წესრიგის დამყარების სხვა, უფრო ცივილური გზები მეორე პლანზე გადადის.

ჩვენი პოლიტიკური სივრცე სწორედ ავტორიტარულიდან დემოკრატიულ ლეგიტიმაციაზე დაფუძნებულ მმართველობის ფორმაზე გადასვლას ცდილობს. როგორც გვაჩვენებს ბევრ შემთხვევაში წარუმატებელი ქართული სამოქალაქო მოძრაობების ისტორია, ამის გაკეთება ყოველთვის ადვილი არ არის. ამის მიუხედავად, რაღაც მიზეზების გამო, მცდელობა ჯერ არ შეგვიწყვეტია, პირიქით, უფრო და უფრო მეტი ენერგიით ვცდილობთ თვისებრივი გარღვევის განხორციელებას.

სწორედ ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტების (რომელთაც სხვა მხრივ, უამრავი ნაკლი და მინუსი აქვთ) ასეთი შემართება მაფიქრებინებს იმას, რომ ამ არჩევნებზე მაინც არის შანსი იმისა, რომ დემოკრატიის გზაზე წინ წავიწიოთ. დემოკრატიული აზროვნების ბუნება კი ისეთია, რომ მან თუ ერთხელ მოიკიდა ფეხი საზოგადოებაში, შემდეგ მისი შეფერხება ავტორიტარული ელემენტების მხრიდან განსაკუთრებულად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. იმედია, 2016 წლის 8 ოქტომბერს და მის შემდგომ პერიოდში ჩვენი ერი კიდევ ერთხელ დაადასტურებს ამ იდეის მართებულობას.

გიორგი ცხადაია

„საერთოდ ვერ ვხედავ შანსს, რომ კოალიციიდან გასულმა რომელიმე პარტიამ 5 პროცენტი მიიღოს

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა **პეტრე მამრაძემ „რეპორტიორთან“** ინტერვიუში წინასაარჩევნო გარემოსთან, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ისაუბრა.

— როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო გარემოს?

— წინასაარჩევნო გარემომ გამოააშკარავა, რომ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაც კი არ დაწყებულა. ფორმალურად რეგისტრირებულია 240-მდე პარტია, რეალურად კი არც ერთი არ არსებობს. ვხედავთ პატარა-პატარა პოლიტიკურ დაჯგუფებებს, შეკრებილს მეტ-ნაკლებად ცნობადი სახეების გარშემო და მხოლოდ პარლამენტში შეღწევას ცდილობენ. არავითარი განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმები მათ არა აქვთ. მემარცხენე და მემარჯვენე პარტიები არიან შეერთებულები და ქმნიან ბლოკებს, რაც პოლიტიკური ანეკდოტების სერიაა. საარჩევნო გარემო არის „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

— თქვენი აზრით, როგორ არის საპარლამენტო არჩევნების მიმართ ამომრჩეველი განწყობილი?

— ამომრჩეველი ძალიან პასიურია. აღარ სჯერათ ამ განუწყვეტელი დაპირებებისა. რაც კი მესმის გარშემო, განწყობა ასეთია, „ესენი თავის თავზე ფიქრობენ“, „პარლამენტში მოსვლა უნდათ გასამდიდრებლად“, „ხალხზე არავინ ფიქრობს“ — ასეთი ფრაზები მესმის.

— პაატა ბურჭულაძის პარტია რამდენიმე წევრმა დატოვა. როგორ შეაფასებდით ამ პროცესს?

— პაატა ბურჭულაძის პარტია იყო გაერთიანება და არა პარტია. ბურჭულაძე ხალხის მასისთვის იყო პოპულარული. ვამაყობდით, რომ საქართველოს ჰყავს წარმატებული მომღერალი. ბევრისთვის მისაღები იყო სახე, რომელიც არ იყო პოლიტიკაში „გასვრილი“. შემდეგ გაერთიანდა „გირჩთან“, „ნაცების“ ყველაზე ცნობად სახეებთან, რამაც გამოიწვია მეტრეველის, ლაგაზიძის, რუხაძის წასვლა. დღეს ბურჭულაძის არავითარი პარტია არ არსებობს, ყველაფერს წყვეტენ პავლე კუბლაშვილი და გიორგი მელაძე, ბურჭულაძე კი მხოლოდ ფასადად დარჩა.

— თქვენი აზრით, რომელი პოლიტიკური პარტიები გადალახავენ 5%-იან ბარიერს?

— დღესდღეობით, როდესაც არჩევნებამდე ერთი თვეა დარჩენილი, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ არა მხოლოდ ბარიერს გადალახავს, არამედ ძალიან ბევრ ხმას დააგროვებს. არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნება“ პარლამენტში საკუთარი ძალებით შექმნის უმრავლესობას. ასევე, „ნაციონალური მოძრაობა“ გადალახავს ბარიერს. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ყველა საეჭვოა. ვერც ერთზე ვერ იტყვი, რომ რომელიმე ნამდვილად გადალახავს 5%-იან ბარიერს.

— როგორ ფიქრობთ, კოალიციიდან გამოსული პარტიები შეძლებენ ბარიერის გადალახვას?

— საერთოდ ვერ ვხედავ შანსს, რომ კოალიციიდან გასულმა რომელიმე პარტიამ მიიღოს 5 პროცენტი.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ზოგიერთი პოლიტიკური პარტია პროვოკაციებს გეგმავს. თქვენი აზრით, რამდენად მშვიდ გარემოში ჩატარდება არჩევნები?

— მასობრივ არეულობას ვერავინ მოაწყობს, რადგან იმდენი ამომრჩეველი არ ჰყავს არც ერთ პარტიას, რომ მსგავსი რამის განხორციელება შეძლოს.

ანა ნონიკაშვილი

საერთო ეგზიტპოლი - საზოგადოებრივი მაუწყებელი, შესაძლოა, ოთხეულს გამოეყოს

საზოგადოებრივი მაუწყებელი, შესაძლოა, იმ ერთობლივ ეგზიტპოლს გამოეყოს, რომლსაც კომპანიები „თი-ენ-ეს“-ი და „გორბი“ 4 ტელევიზიის დაკვეთით 8 ოქტომბერს ჩაატარებს. კომპანიებმა გუშინ პრეზენტაცია გამართეს და ჟურნალისტებს ეგზიტპოლის მეთოდოლოგია გააცნეს. პრეზენტაციას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

როცა სინდისი ვერ გვაკონტროლებს!..

...სადაც არის მოგვიახლოვდება რვა ოქტომბერი. მერე რა, როგორც მოვა, ისე წავაო, – ფიქრობს ხალხი და ყველა თავისი გზით მიდი-მოდის. ის მონდომება და შემართება, რაც წინა წლების არჩევნებს ახლდა, სადღაც გამქრალა. კი, რაღაც ფაციფუცი იგრძნობა, მობინადრეთა კარებზე ზარების წკარუნი ისმის. ქაღალდებითა და კითხვარებით მოდიან და მიდიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები, ისინი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს ემსახურებიან არჩევნების წესრიგიანად ჩატარებაში, მაგრამ ზოგადად ხალხის განწყობა 2012 წლის არჩევნებთან შედარებით, უინტერესოა. დღეში რამდენჯერმე ვისმენთ უფასო პოლიტიკურ რეკლამებს. ხალხის გამხიარულება მონდომებიათ მათ ავტორებს. ხან მაღიმებს, ხან კი ხმამაღლა მაცინებს ყოველივე ეს. ანდა, როგორ არ გაგეცინება მათ გულუხვობაზე, სამას ლარს ჰპირდებიან პენსიონერებს, ზოგი ხუთას ლარამდე ზრდის თანხას. უსახლკაროებს ბინებს ურიგებენ, მშიერ-მწყურვალებს – უფასო საჭმელ- სასმელს. თითქოს ვერ ხვდებიან, რომ მშიერ-მწყურვალია თავად სახელმწიფო, ქვეყანას სჭირდება მომაგრება და აღორძინება. უტოპისტების თეორიები გამახსენა მათმა რეკლამა-განცხადებებმა. მცირეშემოსავლიანი ოჯახების გადასახადებზე სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას ჩვენი მოსვლის შემთხვევაშიო, – გვპირდებიან ზოგიერთები. ძალიან აცდნენ რეალობას. საიდან და როგორ ნეტავ, ხაზინაში ფულს ვინ ჩადებს. ამასობაში უსახსროდ და უყურადღებოდ დარჩენილი, უკვე თითქმის შრომასგადაჩვეული ხალხისგან იცლება ქვეყნის მხარეების (რეგიონების) ქალაქები და სოფლები. მშობლიური ადგილებიდან, საკუთარი სახლ-კარიდან აყრილები დედაქალაქს მოაწყდნენ უმეტეს წილად მათხოვრების სახით, თუ არადა, მოედვნენ ბაზრებს, ერთ ადგილზე ნაყიდს მეორე ადგილზე ჰყიდიან, რომ ლუკმა-პურის ფული იშოვონ. ამ რეკლამების ავტორებს კი არ ვიცი, რა განუზრახავთ, ქვეყნის დაქცევა თუ ხალხის მოტყუება? რატომ ვითომ ქვეყნის დაქცევაო, – იკითხავთ. იმიტომ ძვირფასებო, რომ მიზანდასახული და საფუძვლიანი შრომის გარეშე ეკონომიკა არ აყვავდება, ძლიერი ეკონომიკის გარეშე კი რას დაარიგებ, საიდან, თორემ კი...

როგორ შექმნიან სამუშაო ადგილებს, თითოეულ მოქალაქეს როგორ დაასაქმებენ განათლებისა და ცოდნის მიხედვით და ასე შემდეგ. აი, ყოველივე ის, რაც აინტერესებს ხალხს. მაგრამ საქმე თადარიგიანად რომ დაიწყო, მოინდომო და აკეთო, ამისთვისაც კი საჭიროა დიდი კაპიტალი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უამრავი სხვა რამის შესაძენ-მოსაწყობად, და, რაც მთავარია, ყველაფერ ამასთან ერთად უნდა შექმნა და დაიცვა მშვიდობიანი გარემო. და ჩემო ძვირფასო მკითხველო, დამეთანხმებით, ალბათ, რომ ჩვენ, ხალხს, მოქალაქეებს, კარგი, ჭკვიანი პოლიტიკოსებიც იმიტომ გვინდა , რომ ჯერ დაგვილაგონ და დაგვიწყონ სამუშაო გეგმები და პროექტები, შემდგომ კი აგვიხსნან მათი პრაქტიკულად განხორციელების საშუალებები, დიახ, გაგვაცნონ როგორ და რა გზებით აპირებენ ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინებას, ჩვენი მიწებისა და ხალხის დაცვას. მთავარზე მთავარია ჩვენი ქვეყნის ესოდენ რთული, გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინება, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა ახსოვდეთ: ეს არის გაწონასწორებული, დაბალანსებული, წარმატებული დიპლომატიის ამუშავება მეზობელ სახელმწიფოებთან საურთიერთოდ... მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ხალხმა, როცა ხშირად თუ არა, უმეტესწილად მაინც მოტყუებული რომ ვრჩებით? კი ბატონო, ავირჩევთ პეტრეს, გვგონია, რომ ის ნამდვილად ის არის, რაც და რომელიც გვინდოდა, მაგრამ, საუბედუროდ, მოკლე ხანში პეტრე გადაიქცევა არა პავლედ, არამედ – ეშმაკად, რომელიც გვიქმნის ახალ-ახალ პრობლემებს... ხან საზღვრებისა და ქვეყნის დაცვის საქმეში, ქვეყნის მართვის სტრატეგიაში, ხან ეკოლოგიაში, ხან სოციალურ საკითხებში... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მთავრობაში არჩეულები, პარლამენტარები და სხვა რანგის ჩინოვნიკები, როგორც კი დაიგულებენ თბილ სკამებს, იმ წუთებიდანვე იცვლიან ბუნებას და გულმავიწყები ხდებიან, ეს ამბავი არახალია, მაგრამ მეორე, უფრო დიდი თუ არა, არანაკლები პრობლემა ამომრჩევლებშიც უნდა ვეძებოთ...

დიახ, მთავრობის შემადგენლობა ხშირად იცვლება, ზოგჯერ არჩევნების გზით, ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზების გამო, ოღონდ ჯერჯერობით არ იცვლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იდეა (მადლობა ღმერთს!) და, რაც მთავარია არ იცვლება ხალხი, რომელიც დამკვიდრებული სტანდარტული გამოთქმის მიხედვით – ბრძენია! თუმცა საკითხავია, ხალხი, ანუ ამ შემთხვევაში ამომრჩეველი, მართლა არ იცვლება და მართლა ბრძენია? და თუ ბრძენია, მაშ, შეცდომებიც ნაკლები უნდა ჰქონდეს, ასე ვფიქრობ. ვფიქრობ იმასაც, რომ სწორედაც ხალხშია ის საიდუმლო, რომლის გამოც ჩვენმა არჩეულმა ხელისუფლებამ ვერც ერთხელ ვერ გაგვიმართლა. ამ საიდუმლოს ერთ-ერთი სახეობა მატერიალური პირობებით გამოწვეული სიბეჩავეა. უღარიბეს ქვეყანაში ხალხის რომელ სიბრძნეზეა საუბარი. ადამიანის ნიჭიერება და სიბრძნე მაშინ წარმოჩინდება, როდესაც იგი მხოლოდ ლუკმაპურის საშოვნელად კი არ იღვწის, არამედ, მას უკვე აქვს პირობები დაფიქრებისა, თავისი გონებრივი მონაცემების წარმოჩენისა და ქათმისა და კვერცხის არაკისა არ იყოს, ვინ უნდა შექმნას ეს პირობები? რასაკვირველია, მთავრობამ და ვინ უნდა შეადგინოს და შექმნას ეს მთავრობა? რასაკვირველია – ხალხმა. რთულია ეს ყველაფერი და ძნელია, როდესაც გაღატაკებული, არსებობის შესანარჩუნებლად სად არ მიმოფანტული ხალხისგან მოველით ღირსეული კანდიდატების დასახელებას და მერე დეპუტატების არჩევას. ასე რომ, უღირსი პირები ადრეც შემოგვპარვია და ახლაც არ აგვცდება, ალბათ, მთავრობაში მათი ხილვა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, ეს არის მეტისმეტი სიღარიბე, რომელიც აბეჩავებს ხალხს და ანადგურებს მასში ყოველგვარ გონივრულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებს.

ქვეყანას, რასაკვირველია, უნდა მართავდეს ხელისუფლება, ხელისუფლებას – საზოგადოება, საზოგადოებას კი ინტელექტი და ზნეობა, ესე იგი ქვეყანას უნდა მართავდეს ინტელექტით და ზნეობით დაჯილდოებული ადამიანების კრებული, მაგრამ სად არის ასეთი კრებულის ამრჩევი საზოგადოება? გამახსენდა წინა წლების ერთ-ერთი, ამდაგვარად დასათაურებული ჩემი სტატია, – „ბრბო, ხალხი, საზოგადოება“... დიახ, ბრბო იგივე ადამიანთა კრებულია, გაუაზრებლად , ინსტინქტებით რომ მოქმედებს, მის ხალხად ქცევას დრო და მომზადება სჭირდება“ (განა ბრბოსთან არა გვაქვს საქმე გოგა ხაინდრავას მხატვრულ, მაგრამ თითქმის დოკუმენტურ ფილმში „ჰეროკრატია?“ და ვინ შვა ის ადამიანები? ჩვენმა ხალხმა და ჩვენმა მიწამ ხომ? ეს ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების უდიდესი კრახი, სირცხვილი და უბედურებაა, რომელზედაც სულ უნდა იმსჯელო, მაგრამ ფრთხილად, გული არ გაგვიკდეს!). შემდგომი ნაბიჯი ხალხის საზოგადოებად ქცევაა, კიდევ შემდგომი კი სამოქალაქო საზოგადოებად, რომელსაც მართლაც უნდა მართავდეს ინტელექტი და მასთან ერთად ზნეობა, და ყოველივე ამის საფუძველთა საფუძველია ძლიერი ეკონომიკა! გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ძალიან სასურველია ინტელექტთან შერწყმული ზნეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტელექტუალი ყოველთვის რიდი ნიშნავს ზნეობრივს და ხდება პირიქითაც. უცნაურია, მაგრამ ზნეობა ნიჭივითაა, იგი თან დაჰყვება ადამიანს (ან არ დაჰყვება!) და უფრო წარმოჩინდება ნორმალურ სოციალურ გარემოში, სწორი სწავლა-აღზრდის მიღების შემდეგ. თეოლოგები ამბობენ, რომ ზნეობა არის ღვთისგან ჩანერგილი კანონი ადამიანში და იგი ყველას გაჩნიაო, მაგრამ თუ იგი პირდაპირ კავშირშია სინდისთან, რომელიც მიუთითებს ადამიანს სად უნდა დაფიქრდეს, შეყოვნდეს და სად უნდა იმოქმედოს, მაშინ ხომ არის საკითხავი, რატომ არ შეყოვდნენ თავის დროზე ჩვენი ძვირფასი „ინტელექტუალი“ მთავრობის წარმომადგენლები (თავად მეთაურები!), რომლებმაც 90 იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე რამდენჯერ უღალატეს საკუთარ სამშობლოს და საკუთარ ხალხს! ღვთის მიერ ბოძებული სინდისი, რომელიც წარმოადგენს ძალაუფლებას საკუთარ თავზე, სად და რაში გამოიყენეს, როგორ ადვილად გაწირეს ის ხელშეუხები სიწმინდე, რომელსაც სამშობლო ჰქვია და, რასაკვირველია, მას მიაყოლეს ხალხი! აი, ასეთთა შთამომავლები დღესაც მრავლად არიან. მათი ფსიქოლოგიური სურათი მხატვრულად დაგვისურათა რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ, სამარცხვინო დოკუმენტი ქართულ ისტორიას შემოუნახა, თორემ რად გვინდოდა მათი სურათები, ისინი და მათნაირნი დღესაც გზაზე გვხვდებიან, გვესალმებიან და ხელსაც გვართმევენ, პოლიტიკოსობას ჩემულობენ, პარტიებსაც ქმნიან, ხელისუფლებაში მოსვლა სურთ, კენჭს იყრიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხში მომხრეებიც ჰყავთ. სად არის ახლა ინტელექტი და ზნეობა, ან სად არის ხალხის სიბრძნე?!

ამ ბოლო ხანებში ხალხზე, ამომრჩეველზე ძალიან იმოქმედა ბლოკ „ქართული ოცნების“ დაშლამ მისივე შემადგენელ პარტიებად. ზოგიერთი ანალიტიკოსი და ექსპერტი პოლიტიკაში ასეთ მოვლენას უარყოფითად არ განიხილავს, მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. მთავარია, პოლიტიკოსს, რომელმაც ამ ბლოკის შექმნა ითავა და ოთხი წლის განმავლობაში იქ შემავალი პარტიების ზოგიერთი ლიდერის მუშაობით განსაკუთრებულად კმაყოფილი იყო, არ იშურებდა საქვეყნოდ მათ ქებას, ბლოკის დაშლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ისინი არც ისეთი საქებნი ყოფილან (პირიქით, თურმე უქნარობდნენ კიდეც!), არ ამშვენებს მათი სახალხოდ განქიქება. რა თქმა უნდა, არც ერთისა და არც მეორის პოლიტიკური საქმიანობის განხილვას არ ვაპირებთ, არ არის ეს ჩემი საქმე, მაგრამ ყოველივე ამას ზნეობრიობის თვალსაზრისით ამომრჩეველზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. ამა თუ იმ პარტიის ლიდერი ან მისი დამფუძნებელი, მრჩეველი თუ ხელისშემწყობი იგივე პოლიტიკოსია, რომელსაც ხალხი არა მხოლოდ უნდა ენდოს, არამედ მისი ქცევები და მოქმედებები სამაგალითოდაც გაიხადოს. ამდენად, მას დიდი სიფრთხილე და თავშეკავება მართებს ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით კოლეგისა და თანამებრძოლის შეფასებაში, მით უფრო, როდესაც ეს კოლეგა მისივე რეკომენდაციით არის სახელისუფლებო ორგანოში მოსული. გარდა ამისა, ადამიანი, რომელმაც საკუთარი ძალ-ღონით და მატერიალური რესურსების გაღებით უამრავი რამ გააკეთა ქვეყნისთვის, რაშიდაც ნამდვილად მისაბაძია მისი ყოველი მოქმედებაც; შეცდომები თუ სისუსტეებიც მისაბაძი ხდება და დიდ გავლენას ახდენს ხალხის ზნეობაზე. ხალხის ზნეობა კი ისეთი ფაქტორია, რაზედაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიზრუნოთ, რადგანაც, მართლაც ბევრი რამ აკლია დღეს ქართველ ხალხს, მაგრამ, მათ შორის ყველაზე მთავარი მაინც ზნეობაა!

ზნეობის თემაში შედის მადლიერებისა და უმადურობის საკითხებიც. ჩვენ ვიცით, რომ ქველმოქმედება ახლა საქართველოსთვის იგივე სასიცოცხლო ძალაა, როგორც ფილტვებისთვის ჟანგბადი, მწყურვალისთვის – წყალი. გაჭირვებულ საქართველოს კი არა, ნებისმიერ ქვეყანას და ხალხს, როგორი მთავრობაც არ უნდა ჰყავდეს მას, ყოველთვის სჭირდებათ ქველმოქმედი ადამიანები. როდესაც ბატონი ივანი შვილი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მას ასე კარგად არ ვიცნობდით, თურმე სააკაშვილის მთავრობას ეხმარებოდა, დარწმუნებული ვართ, რომ იგი პიროვნებას კი არა, ქართველ ხალხს ეხმარებოდა ჩვენი სამშობლოს მოძლიერებაში, ეხმარებოდა მანამ, სანამ სააკაშვილმა თავისი სახე საქვეყნოდ არ გამოავლინა. ეს დიდი ქველმოქმედი ადამიანი ახლაც იქ დგას, სადაც უნდა იდგეს პატრიოტი ქართველი კაცი. არ უნდა ვიყოთ უმადურნი, ქველმოქმედება დიდად საქები საქმეა, ამიტომაც გვსურს, რომ ასეთ ადამიანებს ყოველმხრივ ჰქონდეთ დიდი ავტორიტეტი და პატარ-პატარა სისუსტეებისთვისაც კი ვერ ვიმეტებთ მათ! **თუმცა პოლიტიკაში პატარა და დიდი სისუსტე არ არსებობს, როგორც არ არსებობს პატარა და დიდი შეცდომა, შეცდომა შეცდომაა. ვინ იცის, ჩვენ რომ პატარა გვგონია, იმ შეცდომას, რაოდენ დამანგრეველი შედეგი მოჰყვეს... მაგრამ ისიც ხომ ვიცით, როცა სინდისი ვერ გვაკონტროლებს, კარი ფართოდ ეხსნება ყოველგვარ უზნეობას!**

გულნარა სტურუა

გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს და არასამთავრობოებს ეშმაკი ჰყავთ შეჩენილი

„ზოგიერთ **პოლიტიკურ ძალებს და მათთან ასოცირებულ ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული ბოროტი ზრახვები, მე ვიტყოდი, რომ ეშმაკი ჰყავთ შეჩენილი“,** – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი მმართველი გუნდის მიერ შეთავაზებულ მემორანდუმთან დაკავშირებით. მისი თქმით, ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდეს და ისინი გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს არ მისცემენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობის საშუალებას.

„თუ ვინმე არის დაინტერესებული, რომ ქვეყანაში არჩევნები ჩატარდეს მშვიდობიან და თავისუფალ რეჟიმში, ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაა და მეტიც, ყველა ცივილიზებულ პოლიტიკურ ძალას ამის სურვილი უნდა ჰქონდეს და ასე უნდა იქცეოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომლის ფარგლებშიც მოსალოდნელია, უფრო სწორად ზოგიერთ პოლიტიკურ ძალებს და მათთან ასოცირებულ ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული ბოროტი ზრახვები, მე ვიტყოდი, რომ ეშმაკი ჰყავთ შეჩენილი და ცდილობენ, რომ არჩევნები გამოიყენონ იმისთვის, რომ ქვეყანაში მოახდინონ დესტაბილიზაცია, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის უფლებას არ მივცემთ,“ – განაცხადა სესიაშვილმა.

ძველი და ახალი რვეულიდან

ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი

უგნელი ძმაგიჯეგის ხსოვნას

ბორანი რომ მტკვარზე იდგა,
ის თბილისი მიყვარდა,
თითქო ახლაც თვალწინ მიდგას
აფსუს, დრო-უამს მიგზარდა,
მტკვრის გაცურვა ჩემ უგნელთა
ნატვრა იყო მარადი,
როგორც ყველა თბილისელთა
სავიზიტო ბარათი,
ახლაც ფიქრით იმ დროს ვეტრფი,
მთლად არ გადამიწურავს,
თბილისელად იმას ვეტყვი,
მტკვარს ვინც გადამიცურავს,
ბორანი რომ მტკვარს აპობდა,
ის თბილისი მერჩია,
ვინც საბორნე მტკვრით ლაღობდა,
მსურდა, გამომერჩია.
ის თბილისი, მზის სადარი,
ისე გადაირია,
ვერ გაიგებ, ვინ სად არი,
ვინ სად გადაირია.
მოდი, ერთი, „მი ატ ელი
ახპერ“, კაცო კაცურო!
თუ ხარ ნაღდი თბილისელი,
მტკვარი უნდა გაცურო,
მომენატრა ბორანი და
მტკვრიდან მასზე აძრომა,
გადმოხტომა ბორანიდან
და ბორნის ქვეშ გაძრომა,
სად არიან ძმაგიჯები,
სადღა არი ბორანი?
„პლეხანოვის“ სხვა ბიჯები,
მტკვარით ნაამბორალი.
სად ხართ, ძმებო, „ცავატანემ“,
არ გამიქრა შუქური,
განა, ტალღებს გავატანე
ტრფობა სიჯაბუკური?
არ გამქრალა ის ფარული,
წლობით გულში ნადები
ჩვენი ძველი სიყვარული,
ჩვენი სერენადები.
ცირკის ქვემოთ სანუკვარი,
ძვირად შესახედავი
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი,
რას ბუტბუტებს, ნეტავი?..

აფსუს!

აფსუს, ძველი თბილისობა,
აფსუს, ძველი თბილი სიო,
აფსუს, ძველი თბილისლობა,
აფსუს, ძველი თბილისიო.

აღარც ძველი თბილისობა,
აღარც ძველი თბილი სიო,
აღარც ძველი თბილისლობა,
აღარც ძველი თბილისიო!

* * *

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“
მის ნაფიქრალს და ნაუბარს,
ვინც ვერ ახერხებს ხმამაღლა
ერის ტკივილზე საუბარს...

* * *

„ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული
კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენიც
სიყვარულია!“

ერთი ღირსეული თბილისელის ბრონია ბახტაძის გახსენება

სიკეთის მადლს და სიხარულს
არ იშურებდი, ბრონია,
სხვაზე უმეტეს სიყვარულს
შენ ამჟღავნებდი, მგონია.

როგორ გიყვარდა ხმატკბილი,
ლხინი, ლაღობა, ხუმრობა,
ზეიმი იყო ნამდვილი
შენთან ყოფნა და სტუმრობა,

გურამ ჭავჭანიძე



გამკობდა სული, სადარი
„უსპეტაკესი თოვლისა“,
და პოეზიის ღადარი,
უპირველესი ყოვლისა.

დარდად რა წაგყვა, ვინ იცის,
რამდენი გქონდა სათქმელი,
როგორ გიყვარდა თბილისი,
მისი მზე, ზეცა ნათელი.

უგანს ჩავივლი ღიღინით,
ის ძველი წლები მგონია,
ტკივილნარევი ღიმილით
გამახსენდები, ბრონია.

ნაგვის ურნასთან!

ნაგვის ურნასთან ხალხის რიგი დგას,
თვალები მტკივა ამის ყურებით,
ეგ თავი ღლონტის ღორს
რომ მიგიგავს,
იქ უნდა ეგდოს თავის ყურებით.

ამ ყოფას შენიც ატყვია „ღვაწლი“,
დაგბედებოდეს შენ ეგ ურნები,
ვით დაგებედა სიხარბე, ღვარძლი
და ეგ ცინიზმი, განუკურნები!

ბალადა ერთ-მმართველზე, ანუ სომეხი თუ ქართველი?

ერთ პატარა ქვეყანას
ჰყავდა ერთი მმართველი,
ვერ გაიგეს, ვინ იყო,
სომეხი თუ ქართველი.

ყველა ერის შვილი ვარ, –
ასე სჯიდა მმართველი,
სომეხისთვის – სომეხი,
ქართველისთვის – ქართველი.

რა აზრი აქვს ნეტავი,
თუ არ ვარგა მმართველი?
გინდა იყოს სომეხი,
გინდა იყოს ქართველი!

სტალინის მაგინებელ „განათლებულ ბრიყვებს“!

ფაშიზმისაგან მარტო კი არა,
ატომურ ომსაც გადაგარჩინათ,
უფრო თქვენს გამო მტკივა იარა,
ასე ბრიყვები რამ გაგაჩინათ?

* * *

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?

ვაჟა-ფშაველა

ამდენი ბოღმა, ამდენი ღვარძლი
რომელი ერის საკადრისია?
ვინც ვერ იგუა სტალინის ღვაწლი,
„ფურთხის კი არა, მეტის ღირსია!“

სასაცილოა

სასაცილოა, როცა ვარდნარებს
ყვავი იფერებს ვერანი,
სასაცილოა, როცა ყვარყვარეს
შესციცინებენ ყველანი.

ნეტავი ხალხმა ეს თუთაბერი
დროზე იცნოს და გარიყოს,
სასაცილოა ეს ყველაფერი,
სატირალი რომ არ იყოს!

* * *

ვის რად უნდა იმისთანა მმართველი,
თუ არ დარჩა ქვეყანაში ქართველი.

მომღერლის დაისი

ამბობენ, რომ ბურჭულაძემ
თვალი ცრემლით დაისია,
ალბათ, მიხვდა, პოლიტიკა
მომღერალის დაისია.

* * *

თუ ნაცბანდა ჩვენი ხალხის ჯალათია,
მათთან ყოფნაც საქართველოს
ღალატია!

გველი მხოლოდ კანს იცვლის...

არ მწამს მათი სახეცვლის,
ეს არც საკვირველია,
გველი მხოლოდ კანს იცვლის,
თორემ ისევ გველია!

* * *

მითხარ, ვინ არის შენი ძმაკაცი,
ან შენი კერპი, შენი ღმერთკაცი?
მერე მე გეტყვი, ვინ ხარ, რა კაცი,
ანდა კაცი ხარ თუ არაკაცი!

„ერთი - ცხვრისკენ, მეორე - მგლისკენ“

ქართული ანდაზა

რუსიც და თურქიც ოდითგან
ოკუპანტია, ცხადია,
ჩვენთვის ორივე ერთია,
„ძუ იყოს, თუნდა ხვადია“,

მგლისკენ მეორეც უნდა ვთქვათ:
ლარისას ვერ სჯობს ხათუნი,
გათურქებასაც გადურჩა
ახალციხე და ბათუმი.

* * *

ქართველები ავად ვხდებით
უცხოური ვირუსებით,
ზოგი ახლად ვითურქებით,
ზოგი ახლად ვირუსებით.

* * *

გვიჭირს, მაგრამ
უთქმელობით რა გამოვა?
რაც ჩვენ გვინდა,
ურუსეთოდ არ გამოვა!

* * *

„დავწვი თქვენი სამართალი,
თქვენი კანონდებულება“

ალ. ყაზბეგი

თქვენი ფიცი, თქვენი მტკიცი
საარჩევნო პიარია,
შევარცხვინე ყველა, ვინც კი
თქვენი თანაზიარია!

განკითხვის ჟამი

ნეტა ვიცოდე, როდესაც ბოლოს
განკითხვის ჟამი მოვა,
სად შეაფარებს თავს, რომელ სოროს
ნაძირალების ხროვა?

MAN-ის ავტობუსები თბილისში

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ორწლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, სექტემბრის ბოლოდან თბილისში ეტაპობრივად ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, ადაპტირებული და ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე მომუშავე MAN-ის ავტობუსები შემოვა.

„თბილისის მერია „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მხარდაჭერით, ავტოპარკს 2017 წლის თებერვლამდე 143 ერთეული „Man Truck and Bus AG“-ის ავტობუსით განაახლებს. პროცესი ამით არ სრულდება და თბილისის მერიას ავტოპარკის განახლების 4 წლიანი გეგმა აქვს“, – განაცხადა დავით ნარმანიამ. თბილისის მერის თქმით, 2016 წლის ივლისში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის – მუნიციპალური ავტობუსების ავტობაზის მშენებლობა დაიწყო. ავტოპარკი ევროსტანდარტებზე მორგებული ობიექტებით მუნიციპალურ „MAN“-ის ავტობუსებს სრულყოფილ მომსახურებას გაუწევს.

„ამასთან, ჩვენ დავიწყეთ მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია. მოდერნიზებულია 4 ვაგონი. კაპიტალურად შეკეთდა 8 ვაგონი, რისთვისაც სატრანსპორტო კომპანიამ 7,5 მლნ. ლარი დახარჯა. წლის ბოლომდე დასრულდება 4 ვაგონის მოდერნიზაცია“, – განაცხადა დავით ნარმანიამ. თბილისის მერის თქმით, აღდგა კუს ტბის საბაგირო გზა, რომელიც 2009 წლიდან უფუნქციო იყო. განახლებული საბაგირო დღის განმავლობაში 3 500 მგზავრის გადაყვანას შეძლებს. გონდოლები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის; ვაგონები აღჭურვილია ველოსიპედის ჩამოსაკიდი მოწყობილობით.

გარდა ამისა, თბილისის მერის თქმით, მნიშვნელოვანი სიახლეა თბილისში 700 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოსაცდელების დამონტაჟდება. ამჟამად, ჯამში 200 მოსაცდელი თბილისის მასშტაბით სხვადასხვა უბნებში უკვე დამონტაჟებულია.

ჰაერის სისუფთავეს გააკონტროლებენ

იაპონიის მთავრობის დახმარებით თბილისში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უახლესი ავტომატური სადგურების საშუალებით განხორციელდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, იაპონიის ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი და გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი იაპონელ სპეციალისტებთან ერთად ავტომატური სადგურის სამუშაო პროცესს გაეცნენ.

უწყების ინფორმაციით, ავტომატური სადგურის საშუალებით დამაბინძურებელი ნივთიერებების უწყვეტი 24 საათიანი ონ-ლაინ მონიტორინგი განხორციელდება და მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში გარემოს ეროვნულ სააგენტოს გადასცემს. ჰაერში განისაზღვრება ნახშირჟანგის (CO); აზოტის ჟანგეულების (NO_x, NO, NO_2); გოგირდის ორჟანგის (SO_2); მიწისპირა ოზონისა (O_3) და მტვრის სხვადასხვა ფრაქციის შემცველობა.

ჰაერის სადგურები ვარკეთილში, ყაზბეგისა და წერეთლის გამზირებზეა განთავსებული, აღნიშნული ტერიტორიები იაპონელი სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად შეირჩა. გარემოს ეროვნული სააგენტო ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გაძლიერების მიზნით მრავალ ახალ ინიციატივას ახორციელებს, პარალელურად მიმდინარეობს ინდიკატორული გაზომვებიც. თბილისის სხვადასხვა უბანში, დაახლოებით 100-მდე წერტილში ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებლების კონცენტარცია განისაზღვრა.

სააკაშვილის პარტიას უკრაინულ პოლიტიკაში არანაირი პერსპექტივა არ ექნება

უკრაინული გამოცემა „КП в Украине“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილული და გაანალიზებულია უკრაინაში პოლიტიკურ ძალთა განლაგება და მათი გააქტიურების პერსპექტივა მიმდინარე შემოდგომასა და ზამთარში. პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის დასახელებულია პარტია „ხვილია“ („ტალღა“), რომელშიც ქართველები მოღვაწეობენ.

ვინ არიან პარტიის ლიდერები:

— **უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილეები ვიტალი კასკო და დავით საყვარელიძე, დეპუტატები ვიქტორ ჩუმაკი და ნატალია ნოვაკი. არაოფიციალური ლიდერია აგრეთვე ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი.**

პარტიის პოზიციები:

— **ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესზე, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.**

ვინ აფინანსებს:

— **ოფიციალური ვერსიის თანახმად, პარტია საზოგადოებრივი შეწირულობით არსებობს, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილს თავისი პოლიტპროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილ უფროსთან სერგეი ლავოჩკინთან.**

დიდ პოლიტიკაში დარჩენის შანსები:

— **მიხეილ სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ მოძრაობას ძალიან ხმაურიანი პოლიტიკური სტარტი ჰქონდა, ამჟამად კი პრაქტიკულად სრული სიჩუმე დგას. თუ ასე გაგრძელდება, ყოველი დღე „ხვილიასათვის“ წამგებიანი იქნება. საერთოდ, რა უნდა შეეთავაზებინა ამ პარტიას უკრაინელებისათვის, მიხეილ სააკაშვილის გარდა? არაფერი. და როგორც დრო აჩვენებს, არც მიხეილ სააკაშვილს არა აქვს რაიმე სატრაბახო თავისი მიღწევებში. ბევრი კითხვა იბადება საქართველოში მის მიერ განხორციელებული რეფორმების მიმართაც. ასე რომ, „ხვილიასათვის“ დიდ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშის პერსპექტივა მიზერულია.**

არიელ კოენი: მაშფოთებს, რომ აშშ-ში ახალი თაობის პოლიტიკოსებს და ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატსაც საქართველო და მისი მნიშვნელობა, შესაძლოა, ბოლომდე არ ესმოდეთ...

ამერიკელი ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლეთისთვის და კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველოს მნიშვნელობა თანდათან იზრდება.

„საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საკვანძო მნიშვნელობის მოკავშირეა“, — ამბობს ატლანტიკური საბჭოს უფროსი მკვლევარი არიელ კოენი, რომელსაც ამერიკული რადიოსადგური ესაუბრა.

პუბლიკაციაში არიელ კოენი აღნიშნავს, რომ რუსეთს და ირანს შორის კავშირების გაღრმავების ფონზე, საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის წამყვანი ქვეყანა, დასავლეთისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„ახლახან პრეზიდენტების — ვლადიმირ პუტინის, ილჰამ ალიევისა და ჰასან როჰანის შეხვედრის მოწმე გავხდით. რუსეთი აშკარად ცდილობს, რომ სამხრეთ კავკასიის და კასპიის რეგიონებს საკუთარი ბეჭედი კიდევ ერთხელ დაასვას... გვაქვს უზარმაზარი დესტაბილიზაცია თურქეთში... ეს ყოველივე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და, მით უმეტეს, საქართველოს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან საქართველო სამეზობლოში ყველაზე პროდასავლური, ყველაზე დემოკრატიული და ყველაზე რეფორმირებული სახელმწიფოა. ამასთან, ეს არის ქვეყანა, რომელსაც ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების გამოკვეთილი მიზანი აქვს, იმის მიუხედავად, თუ რა უნდა რუსეთს, ირანს და ზოგი იტყოდა, თურქეთსაც. ასე რომ, საქართველო ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია... ვაშინგტონში თითქმის 25 წელია, ვიმყოფები და მაშფოთებს ის, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსებს, კონგრესის თანამშრომლებს, ახალგაზრდა დიპლომატებს და ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატსაც საქართველო და მისი მნიშვნელობა, შესაძლოა ბოლომდე კარგად არ ესმოდეთ“, — თქვა არიელ კოენმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

მანამდე კი, ატლანტიკური საბჭოს კიდევ ერთ უფროს მკვლევარს, საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტს ჯორჯ ბენიტესსაც შევხვდით. მისი აზრით, ამერიკას და საქართველოს შორის ურთიერთობის განმტკიცება ორივე ქვეყნის ინტერესშია. რაც უფრო სტაბილური და ძლიერი იქნება საქართველო, მით უფრო ძლიერი და სტაბილური გახდება მთელი კავკასიის რეგიონი: „ამერიკამ უნდა გააგრძელოს იმ რეფორმების მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს; გაგრძელდეს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში, რათა არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა მოხდეს. რაც უფრო ძლიერი და სტაბილური იქნება საქართველო, მით უფრო ძლიერი და სტაბილური გახდება მთელი კავკასია და შავი ზღვის აღმოსავლეთი. ვფიქრობ, ორივე ქვეყანას დაეხმარება, თუკი ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავრობასთან და ქართველ ხალხთან ურთიერთთანამშრომლობას გააღრმავებს“.

არიელ კოენი თვლის, რომ ამერიკამ საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა აუცილებლად უნდა გააფართოვოს და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მისი მხარდაჭერა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს.

მაგრამ რა გზებით შეუძლია ვაშინგტონს მოვლენებზე ზემოქმედება?

„ამერიკის შეერთებული შტატები ყველა პრობლემის და ბოლო 8 წლის წინაღობის მიუხედავად, ნატოს წამყვანი ქვეყანა, ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა ევროატლანტიკურ სფეროში და ვიტყოდი მთელ მსოფლიოშიც. იმას, თუ რას იტყვის, ან რას იზამს ამერიკა, დიდი წონა აქვს... შეერთებულ შტატებს რომ გარკვევით ჰქონდეს ჩამოყალიბებული, თუ როგორ მოხდება საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია, მით უმეტეს ვიზების ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაბიჯის ფონზე, ევროპელების დაყოლიება დიდი ალბათობით მოხდებოდა. ერთ რამეს დავამატებდი: ევროპელები რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო უკმაყოფილების გამოხატვის საბაბს ეძებენ, მათ შორის, უკრაინასთან დაკავშირებით. საქართველოსთან უფრო ახლოს მუშაობა ერთ-ერთი ასეთი სიგნალი იქნებოდა. ასევე უკრაინასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, იქ გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით და ზოგადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტად მიმაჩნია. ვნახოთ, რა მოხდება 2017 წლის 20 იანვრის შემდეგ“, — აღნიშნავს ატლანტიკური საბჭოს ანალიტიკოსი.

2017 წლის 20 იანვარი ის დღეა, როცა პრეზიდენტი ბარაკ ობამა თეთრ სახლს დატოვებს და მის ადგილს ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 45-ე პრეზიდენტი დაიკავებს. ბარაკ ობამას შემცვლელის ვინაობა კი ნოემბრის დასაწყიში გვეცოდინება.

◎ კაკალ გულში

შეგვჭამეს კოლოებმა და ნაციონალებმა

● **რა გულისამრევი საქციელი და აზროვნება გაქვს ბერძენიშვილო! მე ბიძინა ივანიშვილის, არც მეხოტბე ვარ და არც მგალობელი, მაგრამ წვეთოვანზე შეერთებული თქვენი სექტა, პოლიტიკური ძალაუფლების პედესტალზე, ბიძინა ივანიშვილის წყალობით არ მოხვდით?! ასეთი უსისხლოები როგორ ხართ?! ნუთუ ვერ ხედავთ, ვერ გრძნობთ, როგორ ეზიზღებით ქართველ საზოგადოებას?! ისე „კუ და მორიელის“ იგავი, რომ წაგეკთხა ჯობდა, ფროიდის იდეებით ტვინის გამოლაყებას!**

● **9 ოქტომბერს სამაშველო სამსახურები გაძლიერებულ რეჟიმში იმუშავებენ.**

● **ნიკანორ მელიას, ლევან ბერძენიშვილი შეუერთდა!! კიდე ვინ აპირებს სუიციდს, გამოდით, უნდა დაგთვალოთ!!**

● **სუს-ის თანამშრომელს ეკითხებიან, პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბარს რატო უსმენდიო? — მეგონა იმღერებდაო...**

● **მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის„გირჩები ციყვებისთვის“.**

● **ღმერთმა სიკეთეებთან ერთად, კოლოები და ნაციონალები იმიტომ შექმნა რომ კარგის და ცუდის გარჩევა ვისწავლოთ!!**

შეგვჭამეს ამ დედააფეთქებულებმა!

● **ახლა ვუყურებ გადაცემას ინტერview, სადაც ჟურნალისტი სალომე ასათიანი, თავის მაგივრადაც ლაპარაკობს და სტუმრის მაგივრადაც.**

„თუ მათქმევინებთ, გეტყვითო“ — მხოლოდ ამას იმეორებს სტუმარი.

პრინციპულად „არ ათქმევინებს“.

აშკარად აქუს ცოლის ჯანგირაშვილის გავლენაა.

● **მე მაქვს სია, რომელ პარტიებს არაფრის დიდებით არ მივცემ ხმას, სადაც პირველ ადგილს, დიდხანს, ბურჭულაძის დასი ინარჩუნებდა.**

ამ საღამოს, რესპუბლიკელებმა დაიბრუნეს ლიდერობა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ირაკლი ოქრუაშვილს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ

„პატრიოტთა ალიანსის“ გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა ნოზაძე ირაკლი ოქრუაშვილს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებს. ნოზაძის განცხადებით, არსებობს მოსყიდვის კონკრეტული ფაქტები და ამის შესახებ მან პროკურატურას უკვე მიმართა.

„ამომრჩევლის მოსყიდვა სისტემატურად ხდება. ოქრუაშვილმა მოსახლეობაში ჯერ ლუდის დარიგება დაიწყო. ამის შემდეგ კი კონკრეტულ უბნებზე სურსათი დაარიგა. მოსახლეობამ დამიდასტურა, რომ ოქრუაშვილმა სურსათი მათ იმიტომ მიუტანა, რომ ამ უბნებზე, თვითმმართველობის არჩევნებზე, ოქრუაშვილის კანდიდატმა გაიმარჯვა. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაული. ამის შესახებ მივმართე პროკურატურას და იმედია, რეაგირება იქნება მათი მხრიდან“, — განაცხადა ნოზაძემ.

უცნობი გენერალისიმუსი...

* * *

მიღებულ იქნა რა მხედველობაში მოახლოებული საშიშროება, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით გატარდა მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებები – გენერალურმა შტაბმა დაიწყო დივიზიებისა და კორპუსების გადაადგილება საზღვრებთან... იმ დღეებში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა – ს.ტ. ტიმოშენკომ სამხედრო ოლქებში დაგზავნა დირექტივები, რომელიც იმ ღონისძიებებს რომ ითვალისწინებდა, რა ღონისძიებებიც სამხედრო ოლქების არმიებს იმ შემთხვევაში უნდა გაეტარებინათ, მოულოდნელად ქვეყანას ჰიტლერულ-ფაშისტური ურდო თუ დაესხმოდა.

საზეიმო კრება რომ დამთავრდა, მთელი ის საღამო – სახკომსაბჭოში რაღაც აუცილებლად მოხდება-მეთქი, – წინათგრძნობა არ მტოვებდა. მართლაც, მეორე დღეს, 1941 წლის ექვს მაისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

საბჭოთა ხალხმა ეს ამბავი მიიღო, როგორც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის გაძლიერებისთვის გარდაუვალი აუცილებლობა.

1941 წლის ოცდაორი ივნისი

გ.ა. კუმანევი: როგორ შეხვდით, იაკობ ერმოლაევიჩ, დიდ სამამულო ომს?

ი.ე. ჩადაევი: 1941 წლის ოცდაერთ ივნისს მოსკოვში მშვენიერი ამინდი იდგა. იყო ზაფხულის ცხელი, თაკარა დღე. ქუჩებში ისეთი ფუსფუსი იგრძნობოდა, როგორც უქმე დღის წინა დღეს სჩვევია. მაღაზიები ხალხით იყო სავსე, გადაჭედილი იყო ტრანსპორტი – ავტობუსები, ტრამვაები და ტროლეიბუსები. სადგურის წინა მოედანზე ხალხი ტრანსპორტს ჯგუფ-ჯგუფად ელოდა – ქალაქი ჯერ ისევ დაძაბული შრომის რიტმში ცხოვრობდა. ჭექა-ქუხილის დაწყებას თითქმის არაფერი მიანიშნებდა, არაფერი არღვევდა დიდი ქალაქისა და ქვეყნის ნორმალური ცხოვრების მდინარებას.

მაგრამ ჩვენ, მთავრობის აპარატში მომუშავეები, ვგრძნობდით, რომ ვითარება დღითი დღე იძაბებოდა, ჰორიზონტზე სულ უფრო მძიმდებოდა, სულ უფრო შავად წვებოდა ღრუბელი. ამას კიდევ უფრო ნათელს ხდიდა თავდაცვით თემაზე დოკუმენტების უზომოდ გაზრდილი რაოდენობა და აპარატის მუშაობის გამკაცრებული რეჟიმი. ეს ყველაფერი გაცილებით მობილიზებულს და ძლიერს გვხდიდა, ხოლო მუშაობასა და მიმდინარე დავალებათა შესრულებაში მეტ სიზუსტესა და შეთანხმებულობას მოითხოვდა.

ოცდაერთ ივნისს, შაბათს დღეს რამდენჯერმე მომიწია სტალინის მისაღებში მისვლა ცალკეულ გადაწყვეტილებებზე ხელისმოსაწერად ან გასაფორმებლად.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები მთელი დღე კრემლში იყვნენ, განიხილავდნენ ან გადაწყვეტდნენ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და სამხედრო საკითხებს. მაგალითად, მიღებულ იქნა დადგენილება ახალი სამხრეთი ფრონტის შექმნისა, ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ მეორე არმიის გაერთიანების, ქვეყნის სიღრმიდან მათი გადმოყვანის და მდინარეების – დასავლეთი დვინისა და დნეპრის საზღვარზე განლაგების შესახებ. ფრონტის ფორმირების მართვა დაევალა მოსკოვის სამხედრო ოლქს, რომელმაც სასწრაფოდ ოპერატიული ჯგუფი გაგზავნა ვინიცაში.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისრის შეტყობინება ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობის შესახებ და გამოიტანა გადაწყვეტილება ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის არმიის გაძლიერების თაობაზე. ცალკეულ სახალხო კომისრებს, რომლებიც კრებაზე იყვნენ გამოძახებულები, დაევალათ, მიეღოთ ზომები თავდაცვითი დარგების წარმოების თაობაზე.

საქმეთა მმართველობის თანამშრომლები ჩემთან რომ შემოვიდნენ ამა თუ იმ დოკუმენტით ხელში, აუცილებლად მკითხავდნენ, როგორი მდგომარეობა იყო საზღვარზე, რაზეც ყოველთვის ერთნაირად ვუპასუხებდი:

– ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს, საჭიროა თავშეკავება – თავშეკავება, უპირველეს ყოვლისა... მთავარია, პანიკას არ ავყვეთ...

ჩვენი შეიარაღებული ძალები, სახალხო კომისრებით დაწყებული და სამხედრო ოლქების სარდლებით დამთავრებული, კიდევ ერთხელ იყვნენ გაფრთხილებულები, თან ძალიან მკაცრად, ჩვენი ჯარის გაუფრთხილებელი ქმედების მიმართ პასუხისმგებლობის თაობაზე, ვინაიდან ამ გაუფრთხილებლობას შეეძლო, გაერთულებინა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა. ხოლო სტალინმა განკარგულებაც კი გასცა, მისი ნებართვის გარეშე არ გადაესროლათ ჯარი დასავლეთი საზღვრების დასაცავად.

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩადაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

* * *

დღის ბოლოს დიდი რაოდენობით დამიგროვდა ქაღალდები, გაფორმებას რომ საჭიროებდა. მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების მოსამზადებლად და კიდევ იმისთვის, რომ ფოსტისთვის გადამეხედა, ვიჯექი მთელი დღე და თავაუღებლად ვმუშაობდი. იქნებოდა დაახლოებით საღამოს შვიდი საათი, რომ დამირეკა ა.ნ. პოსკრებიშევმა და მთხოვა, მასთან შევსულიყავი. რა თქმა უნდა, მაშინვე შევედი – გასაფორმებლად ერთი დოკუმენტი უნდა წამომეღო.

პოსკრებიშევი ღია ფანჯარასთან იჯდა „ნარზანით“ სავსე ჭიქას ყოველ წუთს პირთან მიიტანდა და ერთ ყლუპს მოსვამდა. გარეთ ცხელი, ჩახუთული, უჰაერო საღამო იყო. ფანჯარასთან ხეებზე ფოთოლიც არ იძვროდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფანჯარა ღია იყო, ოთახში ძალიან ცხელოდა.

პოსკრებიშევს ქაღალდი გამოვართვი – ეს იყო მორიგი გადაწყვეტილება სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

– ახალი რა არის, ალექსანდრ ნიკოლაევიჩ-მეთქი, – ვკითხე.

პოსკრებიშევმა მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა, მაგრამ პასუხის გაცემას არ ჩქარობდა, მაშინ როცა ახალ ამბავს, თუ რამ იცოდა, მაშინვე ყველაფერს გულახდილად მიზიარებდა.

– არის რაიმე მნიშვნელოვანი? – გავუმეორე ისევ კითხვა.

– მე მგონი, არის, – თქვა თითქმის ჩურჩულით. „უფროსი“ ეს-ეს არის ტიმოშენკოს აღელვებული ელაპარაკა, – ამ სიტყვებზე პოსკრებიშევმა თავი სტალინის კაბინეტისკენ გააქნია, – როგორც ჩანს, ძალიან მალე მოსალოდნელია... მოკლედ, შენ თვითონ მიხვდი რაც... დიახ, გერმანელების თავდასხმა...

– ჩვენზე?!

– ჩვენზე.

– წარმოგიდგენიათ, რა საშინელება იქნება!... – ვთქვი შეძრწუნებულმა, – ჰო, მაგრამ, ხომ შეიძლება ეს ცრუ განგაში იყოს? რამდენი თვეა, ხმა დადის, საცაა ჰიტლერი თავს დაგვესხმებაო, მაგრამ ასეთი ჯერ არაფერი მომხდარა.

– ახლა ალბათ მოხდება, – მიპასუხა პოსკრებიშევმა, – დღეს რაღაც ძალიან არის შეშფოთებული „უფროსი“. ტიმოშენკო და ჟუკოვი გამოიძახა და ეს-ესაა ტიულენს ელაპარაკა, ეკითხებოდა, რა გაკეთდა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საბრძოლო მდგომარეობაში მოსაყვანად.

– ჰო... საქმემ სერიოზული სახე მიიღო, – ვთქვი დაბნეულმა.

– ყოველ წუთს შემაშფოთებელი სიგნალები მოდის, – დასძინა პოსკრებიშევმა, – იოსებ ბესარიონის ძემ მოსკოვის ხელმძღვანელობა – შჩერბაკოვი და პრონინი გამოიძახა, უბრძანა, პარტიის რაიკომის მდივნები ქალაქიდან არ გასულიყვნენ, ვინაიდან შეიძლება თავს გერმანელები დაგვესხნენო.

ამ დროს მთავრობის ტელეფონმა დარეკა. მე ისევ ჩემს ოთახში დავბრუნდი და იმის გამო, რომ ვერა და ვერ გამოვედი პოსკრებიშევის ნათქვამის შთაბეჭდილებიდან, გადავწყვიტე, ეს ღამე ჩემს კაბინეტში გამეტარებინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ დავიძინე.

* * *

ოცდაორ ივნისს დილაადრიანად სტალინს გაკვრით დერეფანში მოვკარი თვალი. ეტყობოდა, ძალიან დაღლილი და უძინარი იყო. თან ძალიან მოწყენილი ჩანდა. ნაყვავილარ სახეზე ლოყები ჩასცვივნოდა. გვერდით რომ ჩამიარა, მისალმებაზე მხოლოდ ხელი ასწია ოდნავ.

ომი დაიწყო, მაგრამ კრემლში ბევრმა თანამშრომელმა ეს მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო. უპირველეს ყოვლისა, ვოზნესენსკისთან შევედი, ვინაიდან, როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მას მიჰყავდა, უფრო სწორად, ის უძღვებოდა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეებს, მასთან რომ შევედი, ვოზნესენსკი რომელიღაც სამხედრო მეთაურს ელაპარაკებოდა ტელეფონით.

– დამირეკეთ ერთი საათის შემდეგ, – თქვა მან და ყურმილი დადო. მართალია, ძალიან დაძაბული და შუბლშეკრული იყო, მაგრამ საკმაოდ თავდაჯერებული ჩანდა. სახეში მიყურებდა, რაღაცაზე ფიქრობდა, ცდილობდა, არ შესტყობოდა წუხილი და ბოლოს შეფარული უკმაყოფილებით წარმოთქვა:

– აი, ხედავთ, როგორ თავხედურად მოიქცა ჰიტლერი!

– ფაფხურა, ხმაურის ამტეხი, ბელურისა კაცს არ ეშინია! – ვთქვი რიხიანად.

ვოზნესენსკი დიდხანს მომჩერებოდა სახეში (ეტყობა, ისევ რაღაცაზე ფიქრობდა) და რომ ვკითხე, რას დამავალებთ-მეთქი, – ჯერჯერობით არაფერსო, – მიპასუხა შუბლშეკრულმა.

ამ დროს კაბინეტში შემოვიდა რ.ს. ზემლიაჩკა, ორივეს მოგვესალმა, თავი შეწუხებულმა გააქნია და თქვა:

– მაინც ასე ვერაგულად, მოიქცა ნიკოლაი ალექსანდროვიჩ!

– დიახ, ძალიან ძლიერად და ძალიან მოულოდნელად დაგვარტყა, – შენიშნა ვოზნესენსკიმ.

– შემოვედი, რომ მეკითხა, როგორი მდგომარეობაა საზღვარზე?

– გუშინ გვიან ღამით დასავლეთი ფრონტიდან შეტყობინებები შემოვიდა – გერმანელების განლაგებებიდან მოტორების გაძლიერებული ხმაური ისმისო – გვატყობინებდნენ. ცოტა უფრო გვიან საზღვრისპირა ოლქებიდან თითქმის შეუწყვეტლივ წამოვიდა ცნობები მოწინააღმდეგის ავიაციის ქმედებების შესახებ, მერე კი შეგვატყობინეს, რომ დამპყრობლები საბჭოთა ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. დასავლეთი ოლქის შტაბის უფროსის – გენერალ კლიმოვსკის პირველი სამხედრო პატაკი დილის სამ საათსა და ოცდახუთ წუთზე იქნა მიღებული. იგი სტალინს მოახსენებდა, რომ მტრის თვითმფრინავები ბელორუსიის ქალაქებს ბომბავდნენ. მალე კიევის ოლქის შტაბის უფროსის – გენერალ პურკაევის პატაკიც შემოვიდა, რომელმაც შეგვატყობინა, რომ იბომბებოდა უკრაინის ქალაქებიც. დაბოლოს, ბალტიისპირეთის ოლქის სარდლის – გენერალ კუზნეცოვის პატაკით ცნობილი გახდა, რომ მტრის ავიაციამ კაუნასსა და ბალტიისპირეთის სხვა ქალაქებზეც მიიტანა თავდასხმა.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166

SOS

მარტვილის „მერანისა“ და „რუსთავის“ მატჩი გარიგებული აღმოჩნდა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის კალენდარული მატჩი, რომელიც 8 სექტემბერს გაიმართა მარტვილის „მერანსა“ და რუსთავის „რუსთავს“ შორის, გარიგებული აღმოჩნდა. ამის შესახებ გუშინ სფფ-ს გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორც მან თქვა ორივე გუნდს აღნიშნულ შეხვედრაში წაგება ჩაეთვალა (0:3) და დაჯარიმდა ფულადი თანხით 10 000 ლარის ოდენობით, თანაც გათამაშების ცხრილში ორივეს 6-6 ქულა ჩამოეჭრა.

„არასასიამოვნო ფაქტი მოხდა – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ასეთი საკითხები დიდ ზიანს აყენებს, ისევე როგორც ქართულ ფეხბურთს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ფაქტები ჩვენი მხრიდან ყოველთვის უმკაცრესად დაისჯება. დასრულდა ის დრო, როდესაც მსგავსი სამარცხვინო შემთხვევები თაროზე ინახებოდა. გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: 8 სექტემბერს პირველი ლიგის კალენდარული მატჩი გაიმართა „მერანსა“ და „რუსთავს“ შორის, რომელიც გარიგებული აღმოჩნდა. სპორტული სამართლიანობის პრინციპის სააგენტოს ხელმძღვანელმა ვახტანგ ბზიკაძემ სკანდალური მატჩის შესახებ უეფა-ს შესაბამის ორგანოს ამცნო. მათგანაც დადასტურდა, რომ შეხვედრა გარიგებული აღმოჩნდა და, შესაბამისად, ორივე გუნდი დაისაჯა. მინდა დავაფიქსირო, რომ ამით გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა, დღეიდან კი სპეციალური ჯგუფი ამ თამაშს ვიდეოფირზე შეისწავლის და თუ გამოვლინდა რომელიმე ოფიციალური პირის, ფეხბურთელის ან მსაჯის დანაშაული, ისინი უმკაცრესად დაისჯებიან. გარდა ამისა, აღნიშნული მატჩის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსაც გადაეცემა. მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ორივე გუნდს სპეცფონდის მხრიდან დაფინანსება შეუწყდა.

ჩვენ ყველაზე მეტად ვწუხვართ ასეთი ფაქტების გამო. კლუბების ხელმძღვანელებთან შეხვედრა ჯერ არ ყოფილა, თუმცა, მათ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ სადისციპლინო კომიტეტის მიერ წერილობითი ფორმით ეცნობა. ეს იყო ამ სეზონში ასეთი ფაქტის პირველი შემთხვევა და მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერ ასეთ ფაქტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვება. აქვე მინდა დავამატო, რომ ასეთი ფაქტების შესახებ თქვენი, მედიის მხარდაჭერა და როლი ძალზე მნიშვნელოვანია“ – განაცხადა მუჯირმა.

გიორგი შოთაძე

ევროპა ლიგა

შოთას გუნდის შოკი

ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი დაიწყო და ქართველების ამბებს გაუწყებთ. საოცრება მოხდა თელ ავივში, სადაც შოთა არველაძის გაწვრთნილი „მაკაბი“ 77-ე წუთამდე 3:0-ს უგებდა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში ოთხი გოლი გაუშვა – 3:4. თუმცა, ისიც სასწაული იყო, რომ ებრაელები სამი ბურთის სხვაობით უგებდნენ მირჩა ლუჩესკუს გუნდს.

რით შეიძლება ეს აიხსნას? მართალია, 81-ე წუთზე შოთას გუნდი 10 კაცით დარჩა, მაგრამ ამ დროს 3:1-ს იგებდა. ბრაზილიელმა ჟულიანომ ერთი ბურთი გაიტანა და სამი საგოლე პასი შეასრულა.

ვენის „რაპიდმა“ შინ 3:2 მოუგო ბელგიის „გენკს“. შედგა გიორგი ქვილითაიას დებიუტი ავსტრიელთა ოფიციალურ მატჩში, თუმცა, მხოლოდ 86-ე წუთზე შეიყვანეს მინდორზე.

ლუგანსკის „ზორია“ შინ 96-ე წუთამდე უგებდა „ფენერბახჩეს“, მაგრამ ბოლოს გაუშვა და 1:1-ს დასჯერდა. ჯაბა ლიპარტია სათადარიგო იყო და ბრძოლაში არ შეუყვანიათ.

კოჭის ტრავმის გამო არ უთამაშია და განაცხადშიც არ ყოფილა „გაბალას“ ნახევარმცველი ნიკა კვეკვესკირი. აზერბაიჯანულმა კლუბმა ბრიუსელში „ანდერლეხტთან“ 1:3 წააგო.

კობა კობახიძე

ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი ოპერაციას გაიკეთებს

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი თითზე მცირე ოპერაციას გაიკეთებს, აღნიშნულ ინფორმაციას ბალკანური მედია ავრცელებს.

წყაროს ცნობით, თითის დაზიანება ჯოკოვიჩმა ამერიკის ღია პირველობის ფინალში მიიღო. გავრცელებულ ინფორმაციით, ტრავმა სერიოზული არ არის.

სერბი ოქტომბერში პეკინის ტურნირზე ითამაშებს.

ბადრი იაშვილი

კალათბურთი

დღეს ბოლო აკორდია

სლოვაკეთის დამარცხების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო მატჩის სათამაშოდ მონტენეგროში გაფრინდა. ილიას ზუროსის გუნდმა ბალკანური ქვეყნისკენ გეზი სტამბოლის გავლით აიღო.

ავიარეისი თბილისი-სტამბოლი-პოდგორიცა მონტენეგროს დედაქალაქში 15 სექტემბრის დილის 10 საათზე დაეშვა, რის შემდეგაც ზღვისპირა საკურორტო ქალაქ ბარამდე საქართველოს ნაკრებმა ავტობუსით 40 წუთის განმავლობაში იმგზავრა და სასტუმრო „პრინცესაში“ დაბინავდა.

აღნიშნული სასტუმრო ადრიატიკის ზღვასა და სპორტულ არენა „ტოპოლიცეს“ შორის მდებარეობს. საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს საღამოს ვარჯიშზე წასასვლელად ტრანსპორტი არ დასჭირვებიათ. აღნიშნულ სასტუმროშია დაბინავებული მონტენეგროს ნაკრებიც, რომელიც ქალაქ ბარში საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე მატჩს მართავს. მონტენეგროელებმა პირველ შეხვედრაში სლოვაკეთს პოდგორიცაში უმასპინძლეს, ხოლო ალბანელებთან მატჩი „ტოპოლიცეს“ დარბაზში გამართეს.

„ტოპოლიცე“ საკმაოდ კომფორტული, მასიური და ლამაზი დარბაზია. გადმოსაშლელი პირველი იარუსის პირობებში აღნიშნული დარბაზი 5000 მაყურებელზე მეტს დაიტევს, თუმცა, საქართველოსთან მატჩზე 2000-2500-ზე მეტ გულშემატკივარს არ ელოდებიან. ეს ციფრი თავად ბოგდან ტანიევიჩმა, მონტენეგროს ლეგენდარულმა მთავარმა მწვრთნელმა დაასახელა. მას იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში მიშა ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის წინააღმდეგ უთამაშია, როცა ეს უკანასკნელნი საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდნენ.

საქართველოს ნაკრები ბარში გვარიანი დანაკლისით ჩავიდა. ექიმების გადაწყვეტილებით, თბილისში დარჩა თორნიკე შენგელია, რომელმაც სლოვაკეთთან გასულ მატჩში 29 წუთში 31 ქულა ჩააგდო. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი ბოლომდე მწყობრში არ ჰქონდა, თორნიკემ ეს მატჩი მაინც ითამაშა და შესანიშნავადაც, ხოლო მონტენეგროში სერიოზული გართულების თავიდან ასაცილებლად აღარ გაემგზავრა. შენგელია მუხლის მკურნალობას ბოლომდე მიიყვანს და საკუთარ ბასკურ კლუბში – „ლაბორალ კუჩაში“ ისე გაემგზავრება.

საქართველოს ნაკრებმა ბარში ჩასვლის დღეს საღამომდე დაისვენა და 7 საათზე „ტოპოლიცეს“ დარბაზში მსუბუქად ივარჯიშა. ილიას ზუროსმა კალათბურთელები ძირითადად სროლებში ავარჯიშა, მოთამაშეებმა ასევე ეგრეთწოდებული გაწელვები და მოთელვები შეასრულეს. ქართველების შემდეგ ვარჯიში ჰქონდათ მონტენეგროელებს, რომელთა მთავარი მწვრთნელი ბოგდან ტანიევიჩი დარბაზში პირველი შევიდა და ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და კაპიტანს კარგა ხანს ესაუბრა, რის შემდეგაც კომენტარი პრესისთვისაც გააკეთა:

„თბილისის ატმოსფერო აქ არ გამეორდება. თქვენთან ამაზე დიდი დარბაზი სავსე იყო, აქ კი 2000, მაქსიმუმ 2500 მაყურებელი შეიძლება მოვიდეს. მიუხედავად იმისა, რომ მონტენეგრო ევროპის ჩემპიონატზე გასულია, ამ მატჩის მოგება ჩვენთვის პრესტიჟის საქმეა. ესაა ბოლო ოფიციალური თამაში და მომავალი წლის ევრობასკეტის წინ გვინდა ძლიერ მეტოქესთან გავიმარჯვოთ, თანაც ჩვენს გულშემატკივრებში კარგი განწყობა შევქმნათ“.

საქართველოს ნაკრებმა ორჯერ ივარჯიშა – დილას ტრენაჟორებზე, ხოლო საღამოს „ტოპოლიცეს“ დარბაზში გენერალური ვარჯიში გუშინ გამართა. მონტენეგროსთან მატჩი დღეს ადგილობრივი დროით 21, ხოლო თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება და მის ტრანსლაციას პირდაპირ ეთერში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ძიუდო

მალაგა ახალგაზრდებს მასპინძლობს

ესპანურ მალაგაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც საქართველოს ვაჟთა ნაკრები სრული გუნდით მონაწილეობს, გოგონებში კი ექვსი ჩვენებური მოსინჯავს ძალებს.



წონითი კატეგორიების მიხედვით ესპანურ ტატამზე გავლენ: **ბიჭები. 55 კგ.** – მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი ირაკლი კუპატაძე და დავით გეჯაძე, **60 კგ.** – ჭაბუკებში მსოფლიოს ფინალისტი და ევროპის სამგზის პრიზიორი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული რობინზონ ბეგლარიშვილი, **66 კგ.** – ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს მედალოსანი თორნიკე ნაგლიაშვილი, **75 კგ.** – ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი კაციაშვილი, **81 კგ.** – ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ფინალისტი თამაზ კირაკოზაშვილი და გიორგი ქურდიანი, **90 კგ.** – ონისე სანებლიძე, **100 კგ.** – დავით ოზბეთელაშვილი, **+100 კგ.** – გურამ ქოსმენაშვილი. **გოგონები. 48 კგ.** – სალომე მარგიანი, **52 კგ.** – ევროპის ჩემპიონები –- მზია ბებოშვილი და მარიამ ჯანაშვილი. **57 კგ.** – ხატია ჯანაშვილი და თანატოლებში ევროპის წლევანდელ ჩემპიონი და ევროპული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული ეთერ ლიპარტელიანი. **+78 კგ.** – მოზარდებში ევროპის წლევანდელი ფინალისტი სოფიო სომხიშვილი.

გივი გაგუა

◎ სულიერება

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „მაყვალი შეუწველი“ დღესასწაული

17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალი“ ხსენებას.

...ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წინასახე მოსე წინასწარმეტყველმა იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა.

ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობელ ქალწულს ხშირად უწოდებენ შეუწველ მაყვალს. მარიამ ღვთისმშობელს გამოსახავენ ცეცხლოვანი ნათლით განათებულს.

და, ანთია მაყვალი და... არ იწვის!? ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება!

მარიამ ღვთისმშობლის ხატი „შეუწველი მაყვალი ისეთი ხატია, რომელსაც 8 ქიმი აქვს, ვარსკვლავის სახით გადმოცემულია, ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედით შედგება; მათგან ერთი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა, და, რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა.

„მაყვალი შეუწველი“ – სასწაულმოქმედი ხატის – განსაკუთრებული ხელნაწერი კანონი არსებობს წარწერებით: „ეს საგალობელი იგალობება სინას მთაზე მაშინ, როცა ვინმე მოისურვებს იგალობოს ან თუ ჭექა-ქუხილი საშიში ხდება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ღთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის სახელზე მრავალი ხატია დაწერილი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნით თარიღდება.

გიული ლიპარტია

სანთელი

უახლოესი მეგობრები თეიმურაზ ხაზარაძე, გენრი მახარაძე, გაიოზ ნოზაძე, გურამ გუნავა, გივი აბზიანიძე, ზურაბ ანთაძე, ვიტალი ხაზარაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების

ანრი მაჭარაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 17 IX, 17 სთ-ზე, თბილისი, საირმის ქუჩა №30. დაკრძალვა 18 IX, ქ. რუსთავში სასაფლაოსთან არსებულ წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიიდან 14 სთ-ზე.

უბედური შემთხვევა?

რუსთავის VIII მიკრორაიონში გუშინ დილის 07:30 საათზე საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს მამაკაცის გვამი ნახეს. გავრცელებული ინფორმაციით, 80 წლამდე მამაკაცი საკუთარი საცხოვრებელი ბინის მე-6 სართულის აივნიდან გადახტა, თუმცა მეზობლების ნაწილი პირად საუბრებში ამბობს, რომ შესაძლოა, მამაკაცს თვითმკვლელობის მცდელობა არ ჰქონია, ის უბრალოდ აივნიდან გადავარდა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნილია

„შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ- სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული მ.მ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებადმძიმე დაზიანების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 სექტემბერს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1974 წელს დაბადებულ ა.ნ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ბრალდებული სამართალდამცველებმა მომხდარიდან ორი დღის შემდეგ, თბილისში დააკავეს. იგი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

აღდგება რვა საუკუნის წინანდელი სასახლე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ხობში დედათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაობი დაათვალიერა. მუნიციპალური განვითარების ფონდმა მუშაობა 2015 წლის მიწურულს დაიწყო და მალევე მიწისქვეშ აღმოაჩინა უძველესი ნაგებობების ფრაგმენტები, რომლთაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო სწავლობს.

ხობის მონასტერი აშენებულია XIII-XIV საუკუნეებში. იგი შემოსაზღვრულია გალავნით, რომლის დასავლეთ ნაწილში ჩაშენებულია ორსართულიანი სასახლე, რომელიც სანახევროდ დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ გარე კედლების ნაწილები. პროექტი ითვალისწინებს სასახლის სრულ რეაბილიტაციას – აღდგება მორღვეული კედლები, სართულშუა გადახურვა, ორქანობიანი კრამიტის სახურავი. სართულებზე მოეწყობა იატაკები და კარ-ფანჯარა. სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნების საკითხს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. რეაბილიტაცია არა მარტო უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვას, არამედ ხელს შეუწყობს ხობის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას.

◎ ოცდათორმეტი საუკუნის წინათ

გრაკლიანი გორა უძველეს საიდუმლოებებს ამხელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიან გორაზე ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინა, რომელიც ძვ. წ. XI-X საუკუნეებით თარიღდება.

გრაკლიანში საველე სამუშაოების წარმოებისას იმ ტაძარში, სადაც ჯერ კიდევ უცნობი დამწერლობის ნიმუშებია შემორჩენილი, უშუალოდ ცენტრალური წარწერის წინ, აღმოჩნდა თიხის კონსტრუქცია, რომელსაც ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულება აგვირგვინებს. ხოლო მისი ძირითადი ნაწილი უკავია გეომეტრიული სახის მქონე თიხაზე ამოკვეთილ გამოსახულებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის ვარაუდით, ეს შეიძლება იყოს დეკორის ნაწილი ან მაგიური დანიშნულების სტელა. ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ პროფესორი ვახტანგ ლიჩელი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იგი საკულტო დანიშნულებისაა, რადგან ტაძრის ცენტრალურ ნაწილში საკურთხევლის წინ იყო აღმართული.

„ძვ.წ. XI-X საუკუნის პერიოდის ნებისმიერი აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ კონკრეტულად საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა დამწერლობასთან, რომელიც აღმოაჩინეს 2015-ში. ახლა კი საუბარია სრულიად ახალი ტიპის ხელოვნების ნიმუშთან. ძალიან სასიხარულოა, რომ ეს ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კონტექსტში და რომ ჩვენი ალმა მატერი და წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში მსოფლიო კლასს ინარჩუნებს“, – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ.**

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით თსუ სტუდენტებთან ერთად უკვე მეცხრე წელია, მიმდინარეობს ექსპედიცია. დღეს განსაკუთრებით გახარებულები ვართ იმიტომ, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაფიქსირდა და იმედი გვაქვს, კიდევ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის გრაკლიანი გორა ჩვენი მეცნიერებისათვის“, – განაცხადა თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

„ეს აღმოჩენა არის კიდევ ერთი მოულოდნელობა, რომელიც გრაკლიანი გორამ შემოგვთავაზა. საზოგადოებისათვის უკვე კარგად ნაცნობ წარწერებიან ტაძარში ცენტრალურ ტაძართან აღმოჩნდა საკმაოდ უცნაური, პირობითად რომ ვუწოდოთ სტელა. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს საკულტო მაგიური დანიშნულების კიდევ ერთ გამოსახულებასთან, რომელსაც ღრმა შინაარსი უნდა ჰქონდეს“, – განაცხადა თსუ პროფესორმა **ვახტანგ ლიჩელმა.**

გრაკლიანზე მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებს მხარს უჭერს და აფინანსებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) თსუ არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2015 წელს გრაკლიან გორაზე აღმოჩნდა წარწერა, რომელმაც, შესაძლოა, მთლიანად შეცვალოს მსოფლიო დამწერლობის ისტორია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული აქამდე უცნობი დამწერლობით შესრულებული წარწერა მაიამის (აშშ) ბეტა ლაბორატორიამ ძვ. წ. XI-X საუკუნეებით დაათარიღა. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს დამსახურებულ ბანკირს, ყოფილ „საქართველოსა“ და „ვი-თი-ბი“ ბანკის ყოფილ თავკაცს, მეგობრებისა და ახლობლებისთვის თავგადადებულ უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ჯუმბერ გონაშვილს

დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

◎ ანეკდოტები

რჩევა ქალიშვილებს: ნუ ენდობით მამაკაცს, რომელიც გეუბნებათ, რომ უცოლოა და ცხოვრების მომავალ მეგზურად თქვენს გარდა სხვა ქალი არ უნდა, თუკი ტელეფონში თქვენი ნომერი „წყალკანალის“ სახელით აქვს ჩაწერილი.

* * *

— **რა არის, რა საყვედურებით ამავსე, პატრონი არა მყავს, პატრონი არა მყავსო!**

— **გულდაწყვეტით ეუბნება ცოლი ქმარს. — გახსოვს, უცოდ რომ გახდი და წვნიანი რომ მოგიმზადე.**

— **მოვლენების ქრონოლოგიას ხომ არ ურევ, ჩემო კარგო? დაგავიწყდა, ჯერ წვნიანი რომ მომიმზადე და ცუდად მერე რომ გავხდი?..**

* * *

დიასახლისი მიმართავს სტუმრებს:

— **მიირთვით, არ მოგერიდოთ!**

უცბად მისი პატარა ქალიშვილი ამბობს:

— **დედიკო, შენ სწორად არ ამბობ. ისე უნდა თქვა, როგორც საბავშვო ბაღში გვეუბნებიან. „რაც გინდათ, იმას სახლში ჭამთ, აქ კი ის ჩახეთქეთ, რასაც გაძლევენ!“**

* * *

ებრაელი მზარეული გემზე მიდის, მას ეკიპაჟის წევრებს აცნობენ:

— **ეს ბოცმანია, ეს — მიჩმანი, ეს — შტურმანი, ეს კიდევ — ლოცმანი!**

— **იფ! ყველანი ჩვენებური ყოფილხართ! ჩემი გვარია კაცმანი!**

◎ ინტერნეტიდან

კოლექციონერი

გაიცანით ოსკაროსანი მსახიობის ლეონარდო დი კაპრიოს უკანასკნელი მოდელი girlfriend. **როგორც წყარო წერს, ჰოლივუდის ვარსკვლავი ამჟამად და „უკანასკნელად“ ხვდება პოლონელ ლამაზმანს ელა კავალეცს.**

მოდელებთან ხანმოკლე და ზოგჯერ ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობები ლეოს პირადი ცხოვრების ნაწილად იქცა. ჯერ იყო და მსოფლიოს ყველაზე მდიდარ მოდელთან ჟიზელ ბიუნდჰენთან ჰქონდა მტლაშამტლუში, რომელიც ჟიზელის გათხოვებით დასრულდა.მას გაუთავებელი რაოდენობის ლამაზი მოდელები ეხვია გარს ყოველთვის. მაგალითად ნომი კემპბელი და ტონი გარნი. შედარებით ხანგრძლივად ცხოვრობდა Victoria's Secret მოდელთან ბარ რაფაელთან, რომელიც ცოტა ხნის წინათ დაქორწინდა და ახლა ბავშვს ელოდება, რასაც ვერ ვიტყვით Victoria's Secret, ლამაზმანზე ერინ ჰიტერტონზე იმიტომ, რომ როცა ყვითელმა პრესამ ამ თემაზე საუბარი დაიწყო, ლეონარდო უკვე ახალი სიყვარულის ძიებაში იყო.გასულ წელს მსახიობს რომანტიკული კავშირი ჰქონდა ბარბადოსელ მომღერალთან რიანასთან დ მასაც მალევე დაშორდა.

როსტომ რაჭველიშვილი



უცვლელი ფასების ქვეყანა



მას შემდეგ, რაც 1979 წელს ირანში რევოლუცია მოხდა და შაჰი რეზა ფეხლევი ქვეყნიდან გაიქცა, იქ ბევრი ძალიან ბევრი რამ შეიცვალა.

იმ დროს, ამ უწინ უმდიდრეს ქვეყანაში, ხალხი უდიდეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, შაჰის წვეულებებზე კი სტუმრებს ბრილიანტიან ბეჭდებს ჩუქნიდნენ, 20 ათასი დოლარის ღირებულების ღვინოებითა და ასეული კილოგრამობით ზუთხის ხიზილალით უმასპინძლდებოდნენ.

ამჟამად ქვეყნის ხელისუფლების ყოფილი მაღალი რანგის ჩინოსნები მორიდებულად ცხოვრობენ და ეს არც არავის არ უკვირს. მათი უმეტესობა შიიტი მუსლიმანია, რომელიც ასეთ ცხოვრებას მიჩვეულია.

სურსათის მაღაზიები სავსეა კვების პროდუქტებით, რომლებსაც სახელმწიფო მწირი შემოსავლის მქონე მოსახლეობას უფინანსებს, მათ შორისაა ფქვილი, ზეთი, ქათმის ხორცი, ბრინჯი, სასმელი წყალი. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ საკვების ფასი ათწლეულების მანძილზე არ იცვლება(!).

მთლიანად კი ირანში სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის 22,5 პროცენტი იხარჯება.

ცალკე საკითხია დასაქმების პრობლემა, რომელიც ძალიან მკაცრი კანონმდებლობით რეგულირდება: აქ ყველაფერი სტაჟზეა დამოკიდებული **— თუკი კაცმა ერთ ადგილზე ათი წელი იმუშავა, მისი ხელფასი (იგივე თანამდებობაზე) ახლად მიღებულ თანამშრომელთა ხელფასზე ხუთჯერ მეტი უნდა იყოს.**

ჯერ სახე „დაალაგე“, ტყუილი მერე თქვი!

რუსეთელმა მეცნიერებმა პროგრამა შეიმუშავეს, **რომლის მეშვეობით ტყუილის გამოცნობა ადამიანის მიმიკითაა შესაძლებელი.**

პროგრამა აკვირდება ადამიანის სახესა და გულმკერდის 22 წერტილში მიმდინარე ცვლილებებს იმ დროს, როცა იგი უხერხულ შეკითხვებს პასუხობს.

სიცრუის დეტექტორისგან განსხვავებით, პროგრამა არ საჭიროებს სხეულზე გადამცემის დამონტაჟებასა და გამოსაცდელის თანხმობას.

კოსმოსური „მტვერსასრუტი“

მას შემდეგ, რაც 1969 წელს ადამიანი კოსმოსში პირველად გავიდა, დედამიწის სიახლოვეში უამრავი ნაგავი დაგროვდა, რომელიც უკვე დიდი ხანია, საფრთხეს უქმნის ორბიტალურ

ფრენებს. არადა, საინტერესოა, მაინც რატომაა დედამიწის ახლო კოსმოსი ასე დაბინძურებული? განა დროთა განმავლობაში ნამსხვრევები ატმოსფეროს მკვრივ ფენებში არ უნდა შემოსულიყო და არ უნდა დამწვარიყო?

იმ სიმაღლეებზე, სადაც კოსმოსური ნაგვის უმეტესი ნაწილი დაფრინავს (ეს კი დედამიწის ზედაპირიდან 400-600 კილომეტრია), დედამიწის ატმოსფერო იმდენად გაიშვითებულია, რომ კოსმოსური აპარატების პატარ-პატარა ნამსხვრევები გარემოს წინააღმდეგობას თითქმის არ განიცდიან. დედამიწის მიზიდულობის ძალა კი მათზე ძალიან უმნიშვნელოდ მოქმედებს. ამიტომაცაა, რომ მცირე ზომის სხეულებს იქ არა თუ ათასობით, მილიონობით წლები არსებობა შეუძლიათ.

თუმცა, როგორც ჩანს, ახლო მომავალში „დედამიწის მისადგომების“ დასუფთავება დაიწყება — ჩინელმა მეცნიერებმა ერთგვარი კოსმოსური „მტვერსასრუტი“ გამოიგონეს, რომელიც იქაურობას „დაალაგებს“.

დროის განსხვავებული დინება

ბავშვობაში დრო უფრო ნელა მიდის.

ადამიანი დროს როგორც მოვლენათა თანმიმდევრობას აღიქვამს: რაც უფრო მეტ ახალ ცნობას აღბეჭდავს ტვინი, მით უფრო ნელა მიედინება კაცისთვის დრო.

ამდენად, იმის გამო, რომ სამყაროს შემეცნების პროცესში ბავშვისთვის თვე ან წელიწადი, მოზრდილი ადამიანთან შედარებით, გაცილებით მეტი სიახლის შემცველია, მისთვის დრო უფრო ნელა მიდის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.3105; ევრო - 2.5940;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0499;
100 რუბლი - 3.5545; თურქული ლირა - 0.7753;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4003;
1000 სომხური დრამი - 4.8652.

ამინდი 17 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +23
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +24
თბილისი:	ღამე +16,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE